

შემაჯამებელი ანგარიში

unicef 

for every child

მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017

ბავშვები ციფრულ სამყაროში



**ანგარიშის სრული ვერსიის
ჩამოსატვირთად ეწვიეთ:
www.unicef.org/SOWC2017**

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის)
კომუნიკაციის განყოფილების მიერ
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოედანი #3
ნიუ იორკი 10017, აშშ

pubdoc@unicef.org
www.unicef.org

© გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)
დეკემბერი, 2017

ფოტო ყდაზე: დელი, ინდოეთი. წმ. კოლუმბას სკოლის
მოსწავლეები იყენებენ მობილურ ტელეფონს
© UNICEF/UN036675/Sharma

დიზაინი: Soapbox, www.soapbox.co.uk

მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017

ბავშვები ციფრულ სამყაროში

ანგარიში „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ აანალიზებს, თუ როგორ შეცვალა ციფრულმა ტექნოლოგიებმა ბავშვების ცხოვრება და შესაძლებლობები და გვაფიქრებს იმაზე, თუ რას შეიძლება გვიმზადებდეს მომავალი ამ მიმართულებით.

თუ სწორად გამოყენებული და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, ციფრულმა ტექნოლოგიამ შეიძლება სრულიად შეცვალოს იმ ბავშვების ცხოვრება, რომლებიც იჩაგრებიან სიღარიბის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობის, საცხოვრებელი ადგილიდან იძულებით გადაადგილების თუ გეოგრაფიულად რთულად მისაწვდომ ტერიტორიაზე ცხოვრების გამო. ციფრულ ტექნოლოგიას შეუძლია დააკავშიროს ეს ბავშვები სამყაროსთან, სადაც უამრავი შესაძლებლობაა და შესძინოს მათ ის უნარები, რაც ციფრულ სამყაროში წარმატების მისაღწევად აუცილებელია.

მაგრამ თუ ციფრული ტექნოლოგიები ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იქნება, შეიძლება, ამან ახალი ბარიერების შექმნას შეუწყოს ხელი, რაც დააბრკოლებს ბავშვებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში. და თუ ახლავე არ ავუწყეთ ფეხი სწრაფ ცვლილებებს, შესაძლოა, ონლაინ საფრთხეებმა მონყვლად ბავშვებს კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეუქმნას ექსპლუატაციის, ძალადობისა და ტრეფიკინგის თვალსაზრისით და კიდევ მეტად შეუშალოს ხელი მათ კეთილდღეობას.

წინამდებარე ანგარიში უფრო სწრაფი მოქმედების, ფოკუსირებული ძალისხმევითა და მჭიდრო თანამშრომლობისკენ მოგვიხმობს, რათა დავიცვათ ბავშვები ზიანისაგან, რომელიც შეიძლება მოჰყვეს გამარტივებულ კავშირებს მსოფლიოში. უნდა ვეცადოთ, ციფრული ეპოქის შესაძლებლობები თითოეული ბავშვის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ.

შინაარსი

წინათქმა	3
ძირითადი გზავნილები	6
შესავალი: ბავშვები ციფრულ სამყაროში	10
U-Report-ის გამოკითხვა – რას ფიქრობენ მოზარდები და ახალგაზრდები ონლაინ ცხოვრებაზე?	14
თავი 1 ციფრული შესაძლებლობები: უფრო მჭიდრო კავშირის შესაძლებლობა	16
თავი 2 ციფრული ბარიერები: დაკარგული შესაძლებლობები	20
თავი 3 ციფრული საფრთხეები: ონლაინ ცხოვრების ზიანი	24
თავი 4 ციფრული ბავშვობა: ონლაინ ცხოვრება	28
თავი 5 ციფრული პრიორიტეტები: კარგის ხელშეწყობა და ზიანის შემცირება	32

წინათქმა

„მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ ეხება განსაკუთრებულ თემას, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს მილიონობით ბავშვის ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში და შესაბამისად, აისახება თითოეული ჩვენგანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე: ეს არის ციფრული ტექნოლოგიები.

ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიების - განსაკუთრებით კი ინტერნეტის - ზეგავლენა საგძნობლად გაიზარდა, უფრო ხშირად გვინვეს მის ზეგავლენაზე მსჯელობაც: არის თუ არა ის კაცობრიობისთვის სასარგებლო იმის გამო, რომ კომუნიკაციისა თუ ვაჭრობის, სწავლისა თუ თავისუფალი თვითგამოხატვის შეუზღუდავ შესაძლებლობებს ქმნის? თუ ის უფრო საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის, არღვევს საზოგადოებრივ ქსოვილს, ძირს უთხრის პოლიტიკურ წყობას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა კეთილდღეობას?

ეს საინტერესო საკითხია, მაგრამ არსებითად ის აკადემიური კამათის საგანი უნდა იყოს. სასიკეთოა თუ საუბედურო, ციფრული ტექნოლოგია უკვე რეალური ფაქტია ჩვენ ყოფაში და ეს შეუქცევადი პროცესია.

სასიკეთო მაგალითები:

ცერებრალური დამბლის მქონე ბიჭი, რომელსაც თავის თანატოლებთან ინტერნეტით აქვს ურთიერთობა, ინტერნეტის წყალობით თანაბარ პირობებშია: მის ცხოვრებაში პირველად მისი შესაძლებლობები მეტად ჩანს, ვიდრე მისი შეზღუდული შესაძლებლობა.

გოგონა, რომელიც სირიის არაბული რესპუბლიკიდან ძალადობას გამოეცა თავის ოჯახთან ერთად, ზაატარის ლტოლვილთა ბანაკში მომავლის იმედს იბრუნებს მასწავლებლის დახმარებით, რომელიც მას ციფრული ტაბლეტის გამოყენებით ასწავლის.

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალგაზრდა ბლოგერი ინტერნეტს იყენებს სუფთა წყლის უქონლობის, სანიტარული პრობლემების ან მის თემთან დაკავშირებული სხვა აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.

ზიანის მაგალითები:

გოგონა, რომელსაც ოჯახში ან თემში გავრცელებული წესები ინტერნეტით სარგებლობას უკრძალავს, მოკლებულია სწავლისა და მეგობრებთან ურთიერთობის შესაძლებლობას.

მოზარდი, რომლის პირად ინფორმაციასაც ბოროტად იყენებენ და ქსელში ავრცელებენ ადამიანით მოვაჭრეები.

ბიჭი, რომელსაც ვიდეო თამაშებზე დამოკიდებულებამ ცხოვრება წაართვა. ასე ფიქრობენ მისი მშობლები.

არსებობს კიდევ უფრო უარესი მაგალითებიც:

გაუსაძლისი კიბერბულინგის გამო თვითმკვლელობამდე მისული ბიჭი.

14 წლის გოგონა, რომლის ყოფილი შეყვარებული სოციალურ ქსელში შექმნილი პროფილით ავრცელებს მის შიშველ ფოტოებს, რომელთა გადაღებასაც თავად აიძულებდა.

8 წლის ფილიპინელი გოგონა, რომელსაც მეზობელი აიძულებს სექსუალურ კავშირსა და სხვა სექსუალური ხასიათის ქმედებებს და „ონლაინ სტრიმინგით“ უშვებს ამ კადრებს შესაბამისი შინაარსის ვებ გვერდის საშუალებით.

ციფრულ ტექნოლოგიებს ნამდვილად შეუძლია ამგვარი ზიანის წაქეზება თუ წახალისება, მაგრამ გარდა ბავშვებისთვის მიყენებული ზიანის კონკრეტული შემთხვევებისა, მას ძალადობის მასიური ფორმების წაქეზებაც შეუძლია, რაც ზეგავლენას ახდენს ასობით ათასი ბავშვის ცხოვრებასა და მომავალზე. ამ სასტიკი რეალობის დასტურად შორს წასვლა არაა საჭირო, იმ მზაკვრული სოციალური მედია კამპანიის გახსენებაც კმარა, რომელიც წელს მიანმარში განხორციელდა და რომელიც როხინჯას ეთნიკური უმცირესობის წევრებზე შემზარავი ძალადობისკენ მოუწოდებდა, რასაც უამრავი ბავშვის სიკვდილი და დასახიჩრება მოჰყვა და რომელმაც საფრთხის წინაშე დააყენა ასობით ათასი ბავშვის მომავალი.

ინტერნეტი შეიცავს ამ ყველაფერს, ის კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს ადამიანის ბუნების საუკეთესო მხარეებსაც და მის ყველაზე შემზარავ ასპექტებსაც. ყოველთვის შესაძლებელი იქნება ინტერნეტის გამოყენება სასიკეთოდაც და ბოროტების ჩასადენადაც, ამიტომ ჩვენი ვალია ზიანის შემცირება და იმ შესაძლებლობათა გაზრდა და განვითარება, რასაც ციფრული ტექნოლოგიები იძლევა.

წინამდებარე ანგარიში სწორედ ამაზეა. ის იკვლევს ციფრულ შესაძლებლობათა ლანდშაფტს ბავშვებთან მიმართებაში, შეისწავლის ციფრულ ბარიერებს, რომლებიც მილიონობით ბავშვს ართმევს ინტერნეტის საშუალებით სწავლისა და განათლების მიღების შესაძლებლობებს და ამრიგად უზღუდავს სოციალური ჩართულობის, ციფრულ ეკონომიკაში მონაწილეობისა და სიღარიბის თაობათაშორისი ციკლის რღვევის შანსს.

ანგარიში ეხება აგრეთვე, ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების უარყოფით მხარეებს, რომელთა უგულებელყოფაც შეუძლებელია: ესაა კიბერბულინგი, ბავშვებზე სექსუალური ძალადობა თუ ვების „შავი“ ტრანზაქციები და ვალუტა, რაც აადვილებს ტრეფიკინგსა და ბავშვებისთვის საზიანო სხვა უკანონო ქმედებებს. ანგარიში მიმოიხილავს ასევე, ზოგიერთ მოსაზრებას იმ ნაკლებად თვალსაჩინო ზიანის შესახებ, რომლებიც ბავშვებს ციფრულ ეპოქაში ემუქრება: ესაა ციფრული დამოკიდებულება ან

ციფრული ტექნოლოგიების ზეგავლენა ტვინის განვითარებასა და ბავშვის შემეცნებაზე. ანგარიში იძლევა პრაქტიკულ რეკომენდაციებს, რომლებიც მოუწოდებს საზოგადოებას უფრო ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისა და უფრო მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, ეთიკური ბიზნეს-საქმიანობისკენ, რაც, საბოლოოდ, ციფრულ ეპოქაში ბავშვების კეთილდღეობის საწინდარი უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინამდებარე ანგარიში შეიცავს ბავშვებისა და ახალგაზრდების მოსაზრებებს მათ ცხოვრებაზე ციფრული ტექნოლოგიების ზეგავლენასთან დაკავშირებით, ბავშვების მონათხრობს ისეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.

ციფრულ სამყაროში ბავშვების ხმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო ხმაელა ისმის, ვიდრე ოდესმე. ეს ხომ ის სამყაროა, რომელიც არა მხოლოდ წილად ხვდა მათ, არამედ რომლის განვითარებაშიც ისინი თავადაც მონაწილეობენ.

საჭიროა, დავიცვათ ბავშვები ციფრული ტექნოლოგიების საშიში ზეგავლენისაგან და ამავე დროს ხელი შევუწყოთ მათ, მაქსიმალურად ისარგებლონ ამ ტექნოლოგიების სიკეთეებით. მხოლოდ ასე შევძლებთ, უკეთესობისკენ შევცვალოთ ვითარება.



ენტონი ლეიკი

**გაეროს ბავშვთა ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი**



© UNICEF/UN024828/Nesbitt

მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017: ბავშვები ციფრულ სამყაროში ძირითადი გზავნილები

ციფრულმა ტექნოლოგიამ უკვე შეცვალა სამყარო და რადგან სულ უფრო მეტი ბავშვი სარგებლობს ინტერნეტით მთელ მსოფლიოში, ციფრული ტექნოლოგია უფრო და უფრო მეტად ცვლის ბავშვობას.

➤ 15-დან 24 წლამდე ახალგაზრდები ის ასაკობრივი ჯგუფია, რომელიც ყველაზე მეტად სარგებლობს ინტერნეტით. მსოფლიო მასშტაბით ამ ასაკობრივი ჯგუფის 71 % სარგებლობს ინტერნეტით მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს მოსახლეობისთვის ეს მონაცემი 48%-ს შეადგენს.

➤ ბავშვები და 18 წლამდე მოზარდები მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა მესამედს შეადგენენ.

➤ ყოველდღიურად დასტურდება, რომ ბავშვები სულ უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ ინტერნეტით სარგებლობას. ზოგიერთ ქვეყანაში 15 წლამდე იმდენივე ბავშვი სარგებლობს ინტერნეტით, რამდენიც 25 წელს გადაცილებული ზრდასრული.

➤ სმარტფონები „საძინებლის კულტურას“ ასაზრდოებს, ეს კი ინტერნეტს უფრო და უფრო პირადულ, ინტიმურ სივრცედ აქცევს ბავშვებისთვის და, შესაბამისად, ასუსტებს უფროსების ზედამხედველობას.

ინტერნეტთან კავშირი, შეიძლება, გარდამტეხ ფაქტორად იქცეს მსოფლიოს ყველაზე გარიყული ბავშვებისთვის, დაეხმაროს მათ საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში და სიღარიბის თაობათაშორისი ციკლის რღვევაში.

➤ ციფრული ტექნოლოგიები ბავშვებს სწავლისა და განათლების შესაძლებლობას აძლევს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შორეულ, გეოგრაფიულად მიუნვდომელ რეგიონებსა და ჰუმანიტარული კრიზისების პირობებში.

➤ ციფრული ტექნოლოგიები ბავშვებს აწვდის ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათ საცხოვრებელ გარემოსა და პირობებს, მათ თემს უკავშირდება. ამგვარად, ციფრული ტექნოლოგიები შეიძლება დაეხმაროს ბავშვებს, საკუთარი თემის პრობლემების მოგვარებაში მიიღონ მონაწილეობა.

➤ ციფრული ტექნოლოგიები ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის, სპეციალიზაციის, ტრენინგების გავლის საშუალებას აძლევს მათ, სთავაზობს დასაქმებასთან დაკავშირებულ მომსახურებას და ქმნის ახალ შრომით შესაძლებლობებს.

➤ იმისთვის, რომ ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიამ ხელი შეუწყოს სწავლის პროცესს და ის გამოყენებული იყოს განათლების სფეროში, საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება და სწავლების ეფექტური მეთოდების შემუშავების მხარდაჭერა.

მაგრამ ციფრული სამყარო ხშირად ახალ ბარიერად იქცევა, რადგან მილიონობით ბავშვს, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდება ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომა, არ გააჩნია ეს შესაძლებლობა.

➤ მსოფლიოს ახალგაზრდების თითქმის 29%-ს - დაახლოებით 346 მილიონ ადამიანს - ხელი არ მიუწვდება ინტერნეტზე.

➤ აფრიკელ ახალგაზრდებს ყველაზე ნაკლებად აქვთ ინტერნეტით სარგებლობის საშუალება. მათი დაახლოებით 60 % ამ შესაძლებლობას მოკლებულია, როცა ეს მაჩვენებელი ევროპაში 4 პროცენტია.

➤ ციფრულ ბარიერებს მხოლოდ ინტერნეტის მიუნვდომლობა არ წარმოქმნის. ბავშვები, რომლებიც კომპიუტერზე მეტად მობილურ ტელეფონს იყენებენ, მხოლოდ ნაწილობრივ სარგებლობენ ონლაინ რესურსებით, ხოლო ისინი, ვისაც ციფრული ტექნოლოგიების მოხმარების უნარი არ გააჩნია ან ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელია, ხშირად საერთოდ ვერ ნახულობენ საჭირო რესურსებს ინტერნეტში.

➤ ციფრული ბარიერები კიდევ უფრო გამოკვეთს არსებულ ეკონომიკურ განსხვავებებს, რადგან ის კიდევ უფრო მკვეთრად უსვამს ხაზს შეძლებული ბავშვების უპირატესობასაც და ყველაზე ღარიბი და მოწყვლადი ბავშვების დაკარგულ შესაძლებლობებსაც.

„დღევანდელი ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა წყაროების სანდოობაა. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიურმა სიახლეებმა ძალიან დააჩქარა ცხოვრების ტემპი, უაღრესად მნიშვნელოვანია, იმდენი დრო მოვანდომოთ ჩვენ მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროების სანდოობისა და ხარისხის გარკვევას, რამდენიც საჭიროა.“



დინარ ბარი ალვარაზ მია, 19 წლის, სანტა-კრუს-დე-ლა-სიერა, ბოლივია

➤ არსებობს ციფრული გენდერული განსხვავებაც: მსოფლიოში 2017 წელს ინტერნეტის მომხმარებელი ვაცები 12%-ით აღემატებოდნენ ქალებს. ინდოეთში ინტერნეტის მომხმარებელთა მესამედზე ნაკლებია ქალი.

ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია, უფრო მეტი საფრთხის წინაშე დააყენოს ბავშვები ინტერნეტის საშუალებით. ბავშვები, რომლებიც ისედაც მონყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, კიდევ უფრო დაუცველები ხდებიან და ეს მათი პირადი ცხოვრებისა და სივრცის დაუცველობასაც მოიცავს.

➤ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კიდევ უფრო ამძაფრებს ბავშვის ასაკთან დაკავშირებულ რისკებს, როგორცაა, მაგალითად, ბულინგი; ასაზრდოებს ბავშვებზე ძალადობისა და მათი ექსპლუატაციის ახალ ფორმებს, როგორცაა „კლიენტზე მორგებული“ სექსუალური ხასიათის ამსახველი მასალა და ბავშვებზე სექსუალური ზემოქმედების შემცველი სხვა ონლაინ ვიდეოები, რომლებიც ცოცხალი „სტრიმინგით“ ვრცელდება ქსელში.

➤ ბოროტმოქმედები ადვილად ახერხებენ ბავშვებთან ურთიერთობის დამყარებას ანონიმური სოციალური მედიის პროფილების ან გასართობი ფორუმების საშუალებით, მაშინ, როცა ბავშვი ცუდს არაფერს ეჭვობს.

➤ ახალი ტექნოლოგიები - როგორცაა კრიპტოვალუტა და ინტერნეტის ბნელი მხარე - აადვილებს ბავშვებზე სექსუალური ზემოქმედების ამსახველი ვიდეოების და მათთვის საზიანო სხვა სახის შინაარსის მასალის შექმნას და ხშირად სამართალდამცავი მექანიზმები არაფექტურია ამ უკანონო საქმიანობის შეზღუდვისთვის.

➤ ინტერნეტის ზედამხედველობის ფონდის (Internet Watch Foundation) მონაცემებით, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შემცველი

რესურსის ერთიანი ლოკატორების (URL) 92% სულ ხუთ ქვეყანაშია განთავსებული: ჰოლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, საფრანგეთი და რუსეთის ფედერაცია.

➤ საჭიროა მაქსიმალური ძალისხმევა მონყვლადი და სოციალურად დაუცველი ბავშვების დასაცავად, რომლებიც ნაკლებად იცნობენ და აცნობიერებენ ონლაინ რისკებს და ამის გამო ყველაზე ხშირად შეიძლება აღმოჩნდნენ საფრთხის წინაშე. ამაში პირადი სივრცისა და მონაცემების დაუცველობაც იგულისხმება.

➤ მართალია, სხვადასხვა კულტურაში ადამიანებს ხვადასხვაგვარი ჩვევები ახასიათებთ, მაგრამ ძირითადად, ბავშვები მაინც თავიანთ თანატოლებს მიმართავენ, როცა ონლაინ საფრთხეს გრძნობენ, ეს კი მშობლებს კიდევ უფრო ურთულესს საკუთარი შვილების დაცვას.

ახალგაზრდების ხმები

ახალგაზრდა ბლოგერების აზრები

„ახალგაზრდების ხმები“ იუნისეფის ციფრული პლატფორმაა, რომლის მიზანია, მეტი ინფორმაცია მოგვანოდოს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდების ცხოვრებაზე ახდენს ზეგავლენას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა ბლოგერთა ეს აქტიური ჯგუფი ორიგინალურ, მთამაგონებელ ამბებსა და საინტერესო მოსაზრებებს გვიზიარებს სხვადასხვა საკითხთნ დაკავშირებით. ამ ახალგაზრდა ავტორების ნაწერების სრული ვერსიები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.voicesofyouth.org/en/sections/content/pages/sowc-2017>



ამანუა აიკი, 15 წლის,
კოტონოუ, ბენინის
რესპუბლიკა

„ბენინში ბევრ მოზარდსა და ბავშვს არ მიუწვდება ხელი ციფრულ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე. ციფრულ სამყაროსთან კავშირის უქონლობა ახალგაზრდებისთვის ძალიან დიდი დაბრკოლებაა. ხშირად ვყოფილვარ ისეთ ვითარებაში, სადაც ინტერნეტის უქონლობა სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა.“

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოტენციური ზეგავლენა ბავშვების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე უფრო და უფრო ხშირად იწვევს საჯარო შეშფოთებას, ამიტომ საჭიროა უფრო სერიოზული კვლევა და მეტი ინფორმაციის შეგროვება ამ სფეროში.

- მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების უმრავლესობისთვის ინტერნეტით სარგებლობა დადებითი გამოცდილებაა, ბევრი მშობელი და მასწავლებელი დელავს იმაზე, რომ ეკრანთან გატარებული ზედმეტი დრო ბავშვებს დეპრესიისკენ უბიძგებს, უყალიბებს ინტერნეტზე დამოკიდებულებას და სიმსუქნის პრობლემის ზრდასაც კი უწყობს ხელს.
- არასათანადო და არაპროფესიონალურმა რჩევებმა შეიძლება დააბნიოს აღმზრდელები და მომვლელები. ამიტომ აუცილებელია მაღალი ხარისხის კვლევა ბავშვების კეთილდღეობაზე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზეგავლენის შესასწავლად.
- მკვლევარები აღიარებენ, რომ ციფრული ტექნოლოგიების გადაჭარბებულმა გამოყენებამ ბავშვებში დეპრესიისა და შფოთვის ზრდას შეიძლება შეუწყოს ხელი. მაგრამ ასევე მართალია ისიც, რომ ბავშვებს, რომლებიც ინტერნეტის გარეშე ცხოვრობენ, შესაძლოა, ინტერნეტის საშუალებით ახალი მეგობრები გაეჩინათ და ისეთი სოციალური მხარდაჭერა მიეღოთ, როგორსაც სხვა მხრიდან ვერაფრით ვერ იღებენ.
- ისეთი საკითხები, როგორცაა, მაგალითად ოჯახური პრობლემები, მეტად შეიძლება აისახოს ბავშვების უმრავლესობის ჯანმრთელობასა და ბედნიერებაზე, ვიდრე ეკრანთან გატარებული დრო.

- სასურველია, ბავშვების მიერ ეკრანთან გატარებული დროის შეფასებაში „ოქროს შუალედის პრინციპი“ გამოვიყენოთ - არც ძალიან ბევრი, არც ძალიან ცოტა - და, რაც მთავარია, იმაზე გავამახვილოთ ყურადღება, თუ რას უყურებენ და აკეთებენ ბავშვები ონლაინ და არა იმაზე, თუ რამდენ დროს ატარებენ ისინი ინტერნეტში. ეს მიდგომა ბავშვების დასაცავად უფრო ეფექტური იქნება და თან საშუალებას მისცემს მათ, ინტერნეტში გატარებული დრო უკეთ გამოიყენონ.

ვერძო სექტორს - განსაკუთრებით ტექნოლოგიებისა და სატელეკომუნიკაციო პროდუქციის მწარმოებლებს - განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. მას ყველაზე მეტად შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ციფრული ტექნოლოგიები ბავშვებზე.

- ვერძო სექტორის ძალა და ზეგავლენა მნიშვნელოვანი ბერკეტი უნდა იყოს პირადი მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის მიზნით ბიზნესის ეთიკური სტანდარტების შემუშავებისა და ისეთი მიდგომების განვითარებისთვის, რომლებიც ინტერნეტ სივრცეში ბავშვების დაცვას ემსახურება.
- მთავრობებმა უნდა იზრუნონ ისეთი საბაზრო სტრატეგიებისა და წამახალისებელი ინიციატივების შემუშავებაზე, რომლებიც სერვისების მომწოდებლებს შორის ნოვატორობისა და კონკურენტუნარიანობის მოთხოვნილებას გაზრდის და ინტერნეტის მოხმარების საფასურის გაიაფებას შეუწყობს ხელს, რაც ხელმოკლე ოჯახებისა და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომს გახდის ინტერნეტს.

- ტექნოლოგიების მწარმოებლებმა და ინტერნეტ პროვაიდერებმა უნდა იზრუნონ საკუთარი ქსელებისა და სერვისების უსაფრთხოებაზე, რათა ბოროტმოქმედებმა ვერ შეძლონ მათი საშუალებით ბავშვებზე სექსუალური ზემოქმედების ამსახველი ფოტო თუ ვიდეო მასალის გავრცელება.
- ბავშვების ჯანსაღ განვითარებასა და კეთილდღეობაზე ინტერნეტის ზეგავლენის შესახებ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ემპირიულ კვლევასა და მონაცემთა ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.
- ინტერნეტ კომპანიებმა პარტნიორებთან თანამშრომლობით ადგილობრივად უნდა შექმნან მათი რეალობისთვის რელევანტური შინაარსის მასალა, განსაკუთრებით ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი, გეოგრაფიულად შორეულ არეალებში მცხოვრები და გარიყული ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვებისთვის.

„მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ სრულდება ექვსი პრიორიტეტული ქმედების ჩამონათვალით, რომელთა მიზანია, ციფრული ეპოქის ძალა და შესაძლებლობები მიმართოს ყველაზე შეჭირვებული და მონყვლადი ბავშვების დასახმარებლად და ზიანისაგან დაიცვას ყველაზე დაუცველი ჯგუფები.

1. ბავშვების უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის, იაფი ინტერნეტ რესურსებით.
2. ბავშვების დაცვა ონლაინ ზიანისაგან, რაც შეიძლება მოიცავდეს ძალადობას, ექსპლუატაციას, ტრეფიკინგს, კიბერბულინგსა თუ ასაკისთვის შეუსაბამო მასალაზე წვდომას.
3. ბავშვების პირადი ცხოვრებისა და მათი ვინაობის დაცვა ინტერნეტ სივრცეში.
4. ბავშვებისთვის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სწავლება იმ მიზნით, რომ ისინი უკეთ ინფორმირებულები და დაცულები იყონ ინტერნეტ სივრცეში.
5. კერძო სექტორის ბერკეტების გამოყენება ეთიკური სტანდარტების შემუშავებისთვის და ინტერნეტ სივრცეში ბავშვებისთვის სასიკეთო პრაქტიკის დაგეგმვისთვის.
6. ციფრულ პოლიტიკაში ბავშვების ცენტრალური როლის აღიარება.

შესავალი: ბავშვები ციფრულ სამყაროში

ისევე, როგორც გლობალიზაციამ და ურბანიზაციამ, „გაციფრულებამაც“ უკვე შეცვალა სამყარო. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელების შეჩერება შეუძლებელია. ეს ძალა ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება, ეკონომიკისა თუ საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ჩათვლით, და ის შეუქცევადად ცვლის ჩვენ ყოველდღიურობას.

არც ბავშვობაა გამონაკლისი. ვინაიდან ასობით მილიონი ბავშვი სარგებლობს ინტერნეტით, ისინი ციფრული კომუნიკაციის უწყვეტ ნაკადში ცხოვრობენ და ციფრული სამყარო მათი არსებობის ყველა ასპექტს მოიცავს: ჯანმრთელობის საკითხები იქნება თუ ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების ამსახველი ონლაინ ფოტოები.

ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება ის ციფრული შესაძლებლობებიც, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე და სწავლისა და სოციალიზაციის უსაზღვრო საშუალებებს აძლევს მას, რომელთა გაუთვალისწინებლობა სრულიად დაუშვებელია.

რთულად მისადგომ ადგილებში მცხოვრებ ან სიღარიბის, გარიყულობისა თუ საგანგებო მდგომარეობის გამო საკუთარი სახლებიდან გაქცეულ ბავშვებს ციფრულმა ტექნოლოგიებმა და ინოვაციებმა, შეიძლება, უკეთესი მომავლისაკენ გაუხსნას კარი, შესთავაზოს მათ სწავლის შესაძლებლობა, საშუალება მისცეს, ისარგებლონ იმ სერვისებითა თუ სიკეთეებით, რაც ხელს შეუწყობს მათი პოტენციალის რეალიზებასა და მონაცვლადობის ციკლის რღვევას.

მაგრამ მილიონობით ბავშვს ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდება, ან თუ მიუწვდება, არასტაბილურად ან დაბალი ხარისხის კავშირით და ხშირად ეს სწორედ ყველაზე ღარიბი და მონაცვლადი ბავშვების პრობლემაა. ეს კიდევ უფრო ზრდის მათ გარიყულობას, არ აძლევს მათ უნარებისა და ცოდნის შექმნის, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისა და სიღარიბის თაობათაშორისი ციკლის რღვევის საშუალებას.

ციფრული ტექნოლოგიები და ონლაინ ინტერაქტიურობა სერიოზულ რისკს უქმნის

ბავშვების უსაფრთხოებას, მათ პირად ცხოვრებასა და კეთილდღეობას, რადგან ტექნოლოგია კიდევ უფრო ზრდის იმ პოტენციურ საფრთხეს, რაც ბავშვებს ინტერნეტის გარეშე ემუქრება. ამგვარად, ისედაც მონაცვლად ბავშვებს ტექნოლოგია კიდევ უფრო დაუცველს ხდის.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებასა და თანამშრომლობას, თუმცა, მეორე მხრივ, აადვილებს ბავშვებზე ძალადობისა და მათი ექსპლუატაციის მიზნით სექსუალური თუ სხვა არალეგალური შინაარსის მქონე მასალის შექმნას, გავრცელებასა და გაზიარებასაც. ამ ტექნოლოგიამ გააჩინა ბავშვებით ვაჭრობის ახალი გზები და ამ საქმიანობის სამართალდამცავებისგან დამალვის საშუალებები. ტექნოლოგიამ გაუადვილა ბავშვებს ასაკისთვის შეუფერებელ და პოტენციურად ზიანის მომტან მასალებზე წვდომა და, რაც კიდევ უფრო შემამფოთებელია, საშუალება მისცა, რომ თავადვე შექმნან ასეთი მასალები.

ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა გაუადვილა ბავშვებს კავშირი და თანატოლებისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ასევე გაადვილდა კომუნიკაციის ამ ახალი არხების გამოყენება ონლაინ ბულინგის მიზნით. ეს სულ უფრო ხშირად ხდება და უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ბულინგი რეალურ, არავირტუალურ სივრცეში. ტექნოლოგიებმა გაზარდა ასევე, ბავშვების პირადი ცხოვრების ბოროტად გამოყენებისა და ექსპლუატაციის შანსები და შეცვალა ბავშვების დამოკიდებულება პირადი ინფორმაციისა და მონაცემების მიმართ.

ინტერნეტმა და ციფრული გართობის საშუალებებმა ბავშვებს უდიდესი შემოქმედებითი

გასაქანი და სასარგებლო და გასართობი შინაარსის დიდძალი მასალის გამოყენების საშუალება მისცა, მაგრამ ამავე დროს წამოჭრა *ციფრული დამოკიდებულებისა* და „ეკრანზე მიჯაჭვულობის“ პრობლემა ბავშვებში. ამ ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა პლატფორმა იდეების თავისუფალი გამოხატვისთვის, მაგრამ მეტი ასპარეზი მისცა სიძულვილის ენასაც და გაზარდა სხვა, უარყოფითი შინაარსის მასალის გავრცელების არეალიც. ამ ყველაფერმა კი, შეიძლება, საგრძნობლად შეცვალოს ჩვენი შვილების მსოფლმხედველობა და მათ მიერ საკუთარი თავის აღქმა.

ბავშვთა კეთილდღეობაზე სამყაროს გაციფრულების ზეგავლენის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული, ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. ეს საკითხი სულ უფრო ხშირადაა *საჯარო დებატების* თემა როგორც პოლიტიკის შემქმნელთათვის, ასევე მშობლებისთვის. შეუძლებელია, არ ვაღიაროთ, რომ ციფრულ ტექნოლოგიას ბავშვების ცხოვრებაში უდიდესი გამათანასწორებელი პოტენციალი აქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს შესაძლებლობა ჯერ არაა ხორცშესხმული.

ეს გამოწვევები კიდევ უფრო გამწვავდება, ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიების არეალის გაფართოვებით წარმოქმნილ ახალ შესაძლებლობებს სულ უფრო ხშირად გამოიყენებენ კომერციული თუ სხვა მიზნებით. მომავალში კიდევ უფრო მეტი კომპიუტერი და სხვა ციფრული მონაცემილობა, ონლაინ პლატფორმა და აპლიკაცია იქნება ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი. „ნივთების ინტერნეტი“, ხელოვნური ინტელექტი და კომპიუტერული სწავლება არა მხოლოდ ახალ შესაძლებლობებს, არამედ ახალ გამოწვევებსაც ქმნის.

„მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ აქტუალური ანგარიშია, რომელიც ეფუძნება ციფრულ სამყაროში ბავშვების ცხოვრების შესახებ ფართოდ გავრცელებულ და ახალ მონაცემთა წყაროებს; მტკიცებულებების და ძირითადი არგუმენტების შესწავლის გზით, იგი აყალიბებს ზოგად პრინციპებს და იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს.

რისი გავლენა შეუძლიათ მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოებას, თემებს, ოჯახებს და თავად ბავშვებს იმისთვის, რომ შემცირდეს ციფრული სამყაროს საფრთხეები და გაიზარდოს მისი შესაძლებლობები თითოეული ბავშვის საკეთილდღეოდ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა *გამოვავლინოთ და შევავსოთ ცოდნის თვალსაზრისით არსებული ხარვეზები*. მნიშვნელოვანია მეტი ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ბავშვებმა ინტერნეტი. თავად ბავშვებმაც უნდა იცოდნენ, როგორ დაიცვან თავი ინტერნეტ საფრთხეებისაგან. საჭიროა მეტი ცოდნა როგორც პოლიტიკის შემუშავების, ასევე მარეგულირებელი ჩარჩოს ეფექტურობის თვალსაზრისითაც, რადგან პოლიტიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ციფრული სამყაროს ცვლილებების სწრაფ ტემპს.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის გამოყენება საოცარი სისწრაფით ვრცელდება, ჯერ კიდევ ბევრ ბავშვს არ მიუწვდება ხელი *ციფრულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე*. ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომა - და ამ წვდომის ხარისხი - *ახალ ბარიერად* იქცა. მაგალითად, ბავშვები, ვისაც მუდმივად არ მიუწვდებათ ხელი ინტერნეტზე და სარგებლობენ შეზღუდული, ადგილობრივი ინტერნეტ-რესურსებით, ისიც მოძველებული, ნელი მონაცემილობებით, ვერ იღებენ უამრავ საჭირო ინფორმაციას, რომელზეც ხელი მიუწვდებათ ხარისხიანი ინტერნეტით მოსარგებლე მათ თანატოლებს. ეს განსხვავებები პოტენციურად ამწვავებს უთანასწორობას, რომელშიც ისედაც იმყოფებიან მონაცვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვები.

მწირი ცოდნა ბავშვების ონლაინ ცხოვრებასა და *ინტერნეტის ზეგავლენაზე ბავშვების ცნობიერებაზე, სწავლასა და სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე*, კიდევ უფრო ართულებს მოქნილი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც წინ წამოწევდა მნიშვნელოვან საკითხებს, შეამცირებდა რისკებსა და ხელს შეუწყობდა შესაძლებლობებს. ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით იმაზე, თუ რას *ფიქრობენ ბავშვები* საკუთარ გამოცდილებაზე ინტერნეტ სივრცეში ან თავად როგორ აღიქვამენ ინტერნეტთან დაკავშირებულ რისკებსა და საფრთხეებს, რაც კიდევ უფრო გვიზღუდავს მოქმედების შესაძლებლობას.

12 წლის მანსური ვირტუალური სივრცით სარგებლობს ზაატარის ლტოლვილთა ბანაკში, იორდანიაში. ახალი ტექნოლოგიების ჩანაცვლების სწრაფი ტემპი ართულებს იმას, რომ ციფრულმა პოლიტიკამ ფეხი აუწყოს არსებულ რეალობას.



© UNICEF/UN051295/Herwig

ასევე ცოტა რამ ვიცით იმაზე, თუ რამდენად აცნობიერებენ ბავშვები ონლაინ საფრთხეებს და რა იციან მათზე. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის მოხმარება სწარფად იზრდება ბავშვებშიც და მოზარდებშიც, ბევრ მათგანს არც ციფრული ცოდნა გააჩნია და არც კრიტიკული უნარი, რომ საკუთარი უსაფრთხოების მიზნით გადაამოწმოს იმ მასალებისა თუ კონტაქტების სანდოობა, რომლებსაც ონლაინ აწყდება. ეს ამკარად მიუთითებს ბავშვების ციფრული ცოდნის გადრმავეების აუცილებლობაზე, რაც დაიცავს და თან გააძლიერებს პატარებს.

და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ხარვეზები აფერხებს პოლიტიკის შემუშავებას: ციფრული უსაფრთხოების, ციფრული შესაძლებლობების, ციფრული მართვისა და ციფრული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ჩარჩო ფეხს ვერ უწყობს სწრაფად ცვლად ციფრულ ლანდშაფტს და მასში მხოლოდ ზედაპირულადაა ასახული ბავშვებზე ციფრული ტექნოლოგიების ზეგავლენის შედეგები. თუ მარეგულირებელ მექანიზმებში არსებული ხარვეზები მალე არ გამოსწორდება, ისინი აუცილებლად ბოროტად იქნება გამოყენებული.

ციფრული პოლიტიკის შემუშავებისთვის უამრავი ზოგადი პრინციპი და დირექტივა არსებობს, მაგრამ აკლია თანმიმდევრული და ეფექტური კოორდინაცია და იმ ვალდებულების აღიარება, რომ საერთო გამონვევები ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოგვარდეს.

ახლა, როცა მსოფლიო „მდგრადი განვითარების 2030 წლის გეგმაზე“ მუშაობს, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ინტერნეტი შეიძლება ძალიან დაეხმაროს „მდგრადი განვითარების მიზნების“ (SDGs) რეალიზაციას, რომელთა სულისკვეთებაა, არცერთი ადამიანი არ დარჩეს შესაძლებლობის გარეშე. მაგრამ მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, სამეცნიერო და აკადემიური წრეების, კერძო სექტორის, ოჯახების, ბავშვებისა და ახალგაზრდების მოქმედებები ცვლილებათა ტემპის შესაბამისი უნდა იყოს.


„მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017: ბავშვები ციფრულ სამყაროში“ აქტუალური ანგარიშია, რომელიც ეფუძნება ციფრულ სამყაროში ბავშვების ცხოვრების შესახებ

ფართოდ გავრცელებულ და ახალ მონაცემთა წყაროებს; მტკიცებულებების და ძირითადი არგუმენტების შესწავლის გზით, აყალიბებს ზოგად პრინციპებს, განიხილავს გამოწვევებს და იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს.


ანგარიში წარმოაჩენს ციფრული ტექნოლოგიების წამყვანი მწარმოებლებისა და ციფრული აქტივისტების შეხედულებებს და შეიცავს ბავშვებისა და ახალგაზრდების მოსაზრებებსაც, რომლებიც შეგროვდა: 26 ქვეყანაში მოზარდებისთვის ჩატარებულ ვორქშოფებზე; U-Report-ის გამოკითხვისას, რომლის ფარგლებშიც 24 ქვეყნის მოზარდები პასუხობდნენ შეკითხვებს საკუთარი ციფრული გამოცდილების შესახებ; „გაეროს ბავშვთა ფონდის ახალგაზრდების ხმებში“ (UNICEF’s Voices of Youth) მონაწილე ახალგაზრდა ბლოგერების კომენტარებიდან და „მსოფლიოს ბავშვთა ონლაინ კვლევებიდან“ (Global Kids Online Survey).

ანგარიში მთავრდება პრიორიტეტულ ქმედებათა ჩამონათვალით და პრაქტიკული რეკომენდაციებით იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას გამოიყენოს ციფრული სამყაროს ძალა მოწყვლადი ბავშვების საკეთილდღეოდ, შეამციროს რისკები და დაიცვას ყველაზე დაუცველი ბავშვები. ეს ქმედებები და რეკომენდაციები ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია, ბავშვებს ჰქონდეთ მაღალი ხარისხის ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობის საშუალება; ბავშვები დაცულები უნდა იყონ ონლაინ საფრთხეებისაგან; დაცული უნდა იყოს ბავშვების პირადი ცხოვრება და იდენტობა; საჭიროა ბავშვების დახმარება ციფრული ცოდნისა და უნარების განვითარებაში, რომ ისინი უკეთ ინფორმირებულები და უფრო დაცულები იყვნენ და უფრო ეფექტურად სარგებლობდნენ ინტერნეტით; გამოყენებული უნდა იყოს კერძო სექტორის ბერკეტები იმ ეთიკური სტანდარტების შემუშავებისთვის, რომლებიც დაიცავს ბავშვებს ინტერნეტ სივრცეში და მაქსიმალურად ასარგებლებს მათ ციფრული ტექნოლოგიებით; და ბოლოს, მნიშვნელოვანია ბავშვები იყვნენ ციფრული პოლიტიკის ცენტრში.

ღარიბ ქვეყნებში მსოვრავ ახალგაზრდას ყველაზე ნაკლებ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე
იმ ახალგაზრდების (15–24 წლამდე) პროცენტი, რომლებიც არ იყენებენ ინტერნეტს



მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები და ინტერნეტი საოცარი სისწრაფით ვრცელდება, ჯერ კიდევ უამრავ ბავშვს არ მიუწვდება ხელი ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე.



შენიშვნა: ეს რუკა არ ასახავს იუნისეფის პოზიციას რომელიმე ქვეყნის ან ტერიტორიის ლეგალურ სტატუსთან ან საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით. წყვეტილი ხაზი დაახლოებით შეესაბამება ინდოეთსა და პაკისტანს შორის შეთანხმებულ „კონტროლის ხაზს“ ჯამუსა და ქაშმირში. ჯამუსა და ქაშმირის სტატუსი ჯერ კიდევ არაა შეთანხმებული მხარეებს შორის. არც სუდანსა და სამხრეთ სუდანს შორის საზღვარი საბოლოოდ დადგენილი. აბიეის საბოლოო სტატუსი ჯერ არაა განსაზღვრული.


წყარო: ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ერთეულის შეფასებები, 2017.

U-Report-ის გამოკითხვა: რას ფიქრობენ მოზარდები და ახალგაზრდები ონლაინ ცხოვრების შესახებ?

„მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“-ის კვლევისთვის U-Report-მა (ესაა სოციალური გზავნილების გავრცელების ინოვაციური ინსტრუმენტი, რომელსაც მსოფლიოს 4 მილიონამდე ახალგაზრდა იყენებს მთელ რიგ პრობლემურ საკითხებზე საკუთარი მოსაზრების გაზიარებისთვის) ოთხი შეკითხვა გაუგზავნა U-Report-ის რეპორტიორებს მთელ მსოფლიოში. გამოკითხვა მთლიანობაში 63 000 პასუხს მოიცავს. ქვევით მოყვანილი მონაცემები ასახავს 13-24 წლის მოზარდებისა და ახალგაზრდების პასუხებს 24 ქვეყნიდან.*

როგორ ისწავლეთ ინტერნეტით სარგებლობა?


თავისით ისწავლა



30%	ჰონდურასი
19%	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა

ჰონდურასის ახალგაზრდების 69% -მა უპასუხა, რომ მათ ინტერნეტის მოხმარება თავისით ისწავლეს, როცა იგივე მაჩვენებელი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 19% იყო.


ისწავლა მეგობრების ან და-ძმებისაგან




ეს პასუხი უფრო ხშირი იყო ღარიბი ქვეყნების ახალგაზრდებში

რა მოგწონს ინტერნეტში?

სასკოლო თუ ჯანმრთელობის საკითხებზე ცოდნის ამაღლება




ისეთი უნარების შეძენა, რასაც სკოლაში ვერ ვიძენ



17%	ინდონეზია
15%	ბურუნდი
12%	ბრაზილია

„ისეთი უნარების შეძენა, რასაც სკოლაში ვერ ვიძენ“ - ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინდონეზიელი (47%), ბურუნდის (35%) და ბრაზილიელი (34%) ახალგაზრდებისთვის.


პოლიტიკური ინფორმაციის წაკითხვა და / ან ჩემი თემის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება




ეს პასუხი უფრო პოპულარული იყო შედარებით უფროსი ასაკის ახალგაზრდებში.

რა არ მოგწონს ინტერნეტში?

ძალადობა




არასასურველი სექსუალური შინაარსი




ღარიბ ქვეყნებში ახალგაზრდებს მეტად აწუხებთ „არასასურველი სექსუალური შინაარსის გზავნილები“ (ღარიბ ქვეყნებში ეს მამყენებელია 42%, მაშინ, როცა მდიდარი ქვეყნების ახალგაზრდების მხოლოდ 16%-მა დაასახელა ეს პრობლემა).

„არაფერია ინტერნეტში ისეთი, რაც არ მომწონს.“



რა გახდის ინტერნეტს უკეთესს თქვენთვის?

ღარიბ ქვეყნებში 2,5-ჯერ მეტი ახალგაზრდა ითხოვს ციფრულ ხელსაწყოებზე მეტ წვდომას, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში



* მხოლოდ ის ქვეყნები შევიდა „ქვეყნების“ კატეგორიის ანალიზში, რომლებშიც მინიმუმ 100 რესპონდენტი იყო გამოკითხული.
კერძოდ: ალჟირი, ბანგლადეში, ბრაზილია, ბურკინა ფასო, ბურუნდი, კამერუნი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, ჩილე, სპილოს ძვლის ნაპირი, სალვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, ინდოეთი, ინდონეზია, ლიბერია, მალაიზია, მექსიკა, მონღოლეთი, პაკისტანი, პერუ, ფილიპინები, ტაილანდი და უკრაინა.

01

ციფრული შესაძლებლობები: უფრო მჭიდრო კავშირის შესაძლებლობა

თავი 1: საკვანძო პუნქტები

➤ ციფრულ ტექნოლოგიას უზარმაზარი პოტენციალი აქვს გაზარდოს განათლებაზე წვდომა და მისი ხარისხი, მაგრამ განათლების პრობლემებს მხოლოდ ტექნოლოგია ვერ მოაგვარებს. სწავლის პორცესის გასაუმჯობესებლად ციფრული საშუალებების პარალელურად აუცილებელია ძლიერი პედაგოგების მომზადება, მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება და სწორი მეთოდოლოგიის შემუშავება.

➤ ინტერნეტით მოსარგებლე ბავშვები და ახალგაზრდები საკუთარ სათქმელს ბლოგებით, ვიდეოებით, სოციალური მედით, ჟურნალ-გაზეთებით, ანიმაციური ფილმებით, ჰაშთაგებით, პოდკასტებითა და სხვა საშუალებებით გამოხატავენ. ისინი აღიარებენ ციფრული საშუალებების პოტენციალს ინფორმაციის მოპოვებაში და იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მათ ოჯახებსა თუ თემებს აწუხებს.

➤ ციფრული ეკონომიკა ქმნის ახალ ბაზრებსა და ახალ სამუშაო ადგილებს, მათ შორის იმ ახალგაზრდებისთვისაც, ვისაც არანაირი სპეციალიზაცია არ გააჩნია.

➤ ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო აქტიურად გამოიყენება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწვევადი ჯგუფის, ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში მოხვედრილი ბავშვების, დასახმარებლად. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და ინფორმაციის გაცვლისთვის, ფულის ციფრული გადარიცხვების ხელშეწყობისთვის და ახალი ტიპის მონაცემთა შექმნისთვის, რითაც საგანგებო ვითარებაში აღმოჩენილმა ბავშვებმა და მათმა ოჯახებმა შეიძლება ისარგებლონ.

წინამდებარე თავი მიმოიხილავს იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც ციფრული სამყარო ქმნის ბავშვებისთვის, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სიღარიბის, გარიყულობის, კონფლიქტებისა და მათი თანმდევი კრიზისების გამო მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგალითად, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განათლების მანსს აძლევს ბრაზილიისა და კამერუნის შორეულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ასევე ავღანეთში მცხოვრებ გოგონებს, რომლებსაც განათლების მისაღებად სახლიდან გასვლა არ შეუძლიათ. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ნორჩ ბლოგერებსა და რეპორტიორებს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იბრძოლონ საკუთარი უფლებებისთვის. ტექნოლოგია მნიშვნელოვნად ეხმარება საგანგებო სიტუაციებში მყოფ ბავშვებსა და მათ ოჯახებს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს კი, პირდაპირი მნიშვნელობით, ხმის ამოდების საშუალებას აძლევს: „იმ დღეს, როცა ინტერნეტში ჩართული ნოუთპადი მომცეს, ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა“, - ეს ივან ბაკაიდოვის, ცერებრალური დამბლის მქონე 18 წლის ბიჭის სიტყვებია, რომლებსაც ამ ანგარიშში ვკითხულობთ.

უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ იყენებენ ბავშვები ტექნოლოგიებს მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში სწავლისა და ერთმანეთთან ურთიერთობისთვის, როგორ იღებენ სიამოვნებას და იკვალავენ გზას ზრდასრული ასაკისაკენ. ამ შესაძლებლობების გათვალისწინების პარალელურად არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ეს შანსები მსოფლიოს მილიონობით ბავშვისთვის ჯერ კიდევ არაა ხელმისაწვდომი. ასევე არ უნდა დაგვავინწყდეს ონლაინ ცხოვრების რისკები და ინტერნეტის შესაძლო ზეგავლენა ბავშვების კეთილდღეობაზე. თითოეული გამოთქმული მოსაზრება თუ მოცემული მაგალითი მთამბეჭდავად წამოგვიდგენს იმას, თუ რა ხდება ამჟამად მსოფლიოში და მიგვახვედრებს, რას შეიძლება ველოდეთ მომავალში.

იმ მოსაზრებამ, რომ ციფრული კავშირი განათლების მიღების საშუალებად შეიძლება იქცეს, გააღვივა ინტერესი მსოფლიო მასშტაბით და ახალ შესაძლებლობებს გაუხსნა გზა. განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციები, კომპიუტერული პროგრამების თუ ტექნიკის მწარმოებლები და საგანმანათლებლო დაწესებულებები ცდილობენ შეიმუშავონ, გამოსცადონ, დანერგონ და განავითარონ ახალი ციფრული პროდუქტები და სერვისები განათლების სფეროში. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უკვე გამოიყენება მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მასალების, სახელმძღვანელოების, ვიდეო მასალებისა და დისტანციური განათლების მასალების შემუშავებაში და ეს ყველაფერი დღეს ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ადრე იყო. ტექნოლოგიებს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაც შეუძლია, რადგან მათი გამოყენებით

სწავლის პროცესი უფრო სახალისო და სასიამოვნოა. ციფრულ ტექნოლოგიას პერსონალიზებული სწავლის მეთოდების შემუშავების დიდი პოტენციალი აქვს და შეუძლია, თვითგანვითარებასა და დამოუკიდებლად სწავლაშიც დაეხმაროს მოსწავლეებს. ტექნოლოგია სერიოზული დამხმარე საშუალებაა მწირი რესურსების მქონე აღმზრდელებისთვისაც მოსწავლეთათვის სწავლის უკეთესი შესაძლებლობების შესათავაზებლად.

რამდენად კარგად აკეთებს ამ ყველაფერს ციფრული ტექნოლოგიები? უდავოა, რომ ტექნოლოგიამ მსოფლიოს უამრავ ბავშვს მისცა სწავლის შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი შორეულ რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს. ტექნოლოგიამ ბავშვებს ელექტრონული სწავლების საშუალება მისცა და გზა გაუხსნა მდიდარი სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებისკენ, რომლებიც წინა თაობების ბავშვებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი.



ციფრულმა ტექნოლოგიამ, შესაძლოა, კარდინალურად შეცვალოს ცხოვრება თანამედროვე სამყაროში, თუ მას გამოვიყენებთ იმისთვის, რომ თანაბარი შანსი მიეცეს ყველა ბავშვს, პირველ რიგში კი ყველაზე მოწყვლად ბავშვებს.

მაგრამ თუ იმაზე დავფიქრდებით, უნცობს თუ არა ხელს ციფრული ტექნოლოგიები საკლასო ოთახში წარმართულ სასწავლო პროცესს, უაღრესად შერეულ სურათს მივიღებთ. ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა გზა გაუხსნა ბავშვებს განვითარების, სწავლის, სოციალური ჩართულობისკენ და მისცა საშუალება, გააუმჯობესონ საკუთარი თავიც და გარემო პირობებიც. და მაინც, ეს სარგებელი ჯერ კიდევ ძალიან არათანაბრადაა გადანაწილებული. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ბავშვებს ციფრული ტექნოლოგიების სიკეთეებით სარგებლობის ძალიან განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ.

ძალიან რთულია იმის გაანალიზება, თუ რამდენად შესაძლებელია ციფრული ტექნოლოგიების მიერ შექმნილი შესაძლებლობების ფართოდ გავრცელება. ძნელია იმ რეალური სარგებლის შეფასებაც, რომელიც ტექნოლოგიას მოაქვს ბავშვებისთვის. ამჟამად იკვთება უფრო სიღრმისეული კვლევისა და შეფასების აუცილებლობა, რათა უკეთ გავიგოთ, თუ როგორ სარგებლობენ ბავშვები ციფრული ეპოქის შესაძლებლობებით და, რაც მთავარია, გავაცნობიეროთ, რატომ ეძლევა ზოგიერთ ბავშვს მეტი შანსი სხვებთან შედარებით.

იმისთვის, რომ ციფრული ეპოქის შესაძლებლობები ბავშვებისთვის რეალურ სარგებლად იქცეს, მათ შორის სწავლის, სოციალური ჩართულობისა და ინკლუზიის კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების ციფრული გამოცდილების კონტექსტის გააზრება და ბავშვების დახმარება ცოდნის შეძენასა და გაღრმავებაში. ეს განსაკუთრებით ეხება იძულებით გადაადგილებულ, გარიყულ და მებღაუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს.

ტექნოლოგია ადამიანის უნარებისა და ადამიანური საჭიროებების სამსახურში დგას. განათლების სფეროში ეს უნდა გულისხმობდეს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, მასწავლებლების უნარების განვითარებას და სწავლების ეფექტური მეთოდების შემუშავებას. გამოცდილება აჩვენებს, რომ ტექნოლოგია იქ იძლევა ყველაზე დიდ სარგებელს, სადაც სწავლისთვის დადებითი განწყობა და ძალისხმევა ხვდება. ციფრული ტექნოლოგია ვერაფერს უშველის ცუდად მომუშავე ბიუროკრატებს და ვერც განათლებაში არსებულ უთანასწორობას შეამცირებს იქამდე, სანამ ეს საკითხები საზოგადოების ფართო ნაწილის საერთო საზრუნავი არ გახდება.

იმისთვის, რომ ბავშვებმა, განსაკუთრებით კი მათმა ყველაზე შეჭირვებულმა და მოწყვლადმა ჯგუფებმა, მართლა მიიღონ სარგებელი, ციფრული პროდუქტების შექმნის პროცესი ბავშვების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს, მაგალითად, უნივერსალური გეგმარების (ინკლუზიური დიზაინის) პრინციპებზე დაყრდნობით.

ინტერნეტით მოსარგებლე ბავშვებისთვის ინტერნეტი ცხოვრების უაღრესად პოზიტიური გამოცდილებაა. მათი ენთუზიამში, გატაცება და მოტივაცია სწორედ იმ ძალასა და პოტენციალს ასახავს, რასაც ციფრული ტექნოლოგია სთავაზობს ბავშვებს: ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებლობასაც და უკეთესი მომავლის შანსსაც. ამ ძალასა და პოტენციალს სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება, პირველ რიგში კი იმით, რომ რაც შეიძლება მეტ ბავშვს მიუწვდებოდეს ხელი ინტერნეტზე და თანაც, ჰქონდეს უნარი, რომ მაქსიმალურად ისარგებლოს ციფრული სამყაროს შესაძლებლობებით.



ჩანაწერები „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“-ის ფარგლებში ჩატარებული ვორქშოპებიდან.

„ჩემმა დამ ვიდებარით დავგირეკა ესპანეთიდან და მთელი ოჯახი გაახარა“.

ბიჭი, 16 წლის, პერუ.

„მე ტექნოლოგიას სამყაროს შესაცვლელად, უკეთესი გეგმებისთვის, ახალი რამის შესაქმნელად გამოვიყენებ; და იმისთვის, რომ ტექნოლოგიების წყალობით განათლება უფრო საინტერესო გახდეს“.

ბიჭი, 17 წლის, ფიჯი.

„მე ტექნოლოგიას იმისთვის გამოვიყენებ, რომ ადამიანებს ჯანდაცვის საკითხების მოგვარებაში დავეხმარო.“

გოგო, 15 წლის, ნიგერია.

„კოდირება YouTube-ით ვისწავლე. უამრავ ვიდეოს ვუყურე კოდირებაზე“.

გოგო, 17 წლის, ბანგლადეში.

„თუ კომპიუტერს არ ვიყენებთ, თუ კომპიუტერის ხმარება არ ვიცით, გამოდის, რომ არაფერი არ ვიცით, ჩვენი საკუთარი ცხოვრებისთვის საუკეთესო რამის ჩათვლით“.

გოგო, 14 წლის, აღმოსავლეთი ტიმორი.



დანყებიითი სკოლის ბავშვები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან ესწრებიან გაკვეთილს გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით დაარსებულ დროებით სასწავლო ცენტრში დანამაჯას ლტოლვილთა ბანაკში, ჩადის სამხრეთ ნანილში. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეში არ არსებობს სათანადო სერვისები, დანამაჯაში მყოფი შედარებით უფროსი ბავშვები და ახალგაზრდები მობილური ტელეფონებით უკავშირდებიან სახლში დარჩენილ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს. მობილური ტელეფონი მათ განათლების მიღებაშიც ეხმარება. „ინტერნეტს ინფორმაციის მოძიებისთვის ვიყენებ, განსაკუთრებით ბიოლოგიაში,“ - ამბობს 16 წლის ბიჭი. - „ბანაკში ბიბლიოთეკა არ გვაქვს.“

02

ციფრული ბარიერები: დაკარგული შესაძლებლობები



თავი 2: საკვანძო პუნქტები

➤ ინტერნეტზე წვდომა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება უღარიბეს ქვეყნებში თუ სხვადასხვა, იზოლირებულ გეოგრაფიულ არეალებში მცხოვრები ბავშვებისთვის. მაგრამ „**მეორე დონის**“ ბარიერები - **რომლებიც ინტერნეტზე წვდომის საკითხს სცდება და იმას უკავშირდება, თუ როგორ იყენებენ ბავშვები ინტერნეტს - უფრო მნიშვნელოვანი ხდება ციფრული ბარიერების მოსპობისთვის.**

➤ ისეთი ფაქტორები, როგორცაა განათლება, ინტერნეტის მოხმარების უნარები, გამოყენებული ტექნიკა, ადგილობრივ ენაზე ინტერნეტ-რესურსების არსებობა და სხვა, ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იყენებენ ბავშვები ინტერნეტს, რას აკეთებენ ონლაინ და **როგორ უნდა ისარგებლონ მაქსიმალურად ინტერნეტის შესაძლებლობებით.**

➤ **ბავშვები, რომლებსაც არა აქვთ ინტერნეტი, მოკლებულები არიან** საგანმანათლებლო რესურსებსა და გლობალურ ინფორმაციას, ისევე, როგორც ციფრული უნარების შეძენის, ახალი მეგობრული კავშირების დამყარებისა და თვითგამოხატვის ახლი ფორმების განვითარების შესაძლებლობებს.

➤ როცა ბავშვი ზრდასრულ ასაკს აღწევს და შრომით საქმიანობაში ერთვება, ინტერნეტზე წვდომა ან მისი უქონლობა მისთვის პირდაპირ შეიძლება ნიშნავდეს **თავის რჩენის შესაძლებლობას** ან ამ შესაძლებლობის არქონას.

ეს თავი აანალიზებს იმას, თუ ვინ არის გარიყული და შესაძლებლობების გარეშე დარჩენილი და რას ნიშნავს ინტერნეტის არქონა ციფრულ სამყაროში. მონაცემები გამოგნებელია: აფრიკაში ხუთი ახალგაზრდიდან სამს (15-24 წლის) ინტერნეტი არ აქვს. ევროპაში ეს შეფარდებაა 1/25. მაგრამ ციფრული ბარიერები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ინტერნეტზე წვდომაა. სამყაროში, სადაც ვებ-გვერდების 56% ინგლისურენოვანია, უამრავი ბავშვი ვერ პოულობს და ეცნობა მისთვის გასაგებ ან მის ყოფასთან დაკავშირებულ მასალასა და ინფორმაციას. ბევრ მათგანს უნარებიც აკლია და არც ტექნიკური საშუალება აქვს (მაგალითად, პორტატული კომპიუტერები), რომ ინტერნეტით ისარგებლოს. თუ ეს ციფრული ბარიერები არ მოისპობა, არსებული სოციალური და ეკონომიკური გათიშულობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

ციფრული ბარიერები უფრო დიდი, სოციალურ-ეკონომიკური ბარიერების მაჩვენებელია. მდიდრებსა და ღარიბებს, კაცებსა და ქალებს, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებს შორის, ასევე განთლებულ და გაუნათლებელ ადამიანებს შორის არსებული ბარიერების მაჩვენებელი. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის 81% იყენებს ინტერნეტს. ეს ორჯერ მეტია განვითარებად ქვეყნებში იმავე მონაცემთან შედარებით (40%), რაც, თავის მხრივ, ორჯერ და მეტჯერაც აღემატება ყველაზე ღარიბი ქვეყნების მონაცემს (15%).

მაგრამ ციფრული ბარიერები თანაბრად როდი ყოფს ინტერნეტით მოსარგებლე და ინტერნეტის არმქონე ადამიანებს. პრობლემა კიდევ უფრო ღრმაა: ციფრული ბარიერები ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იყენებენ ადამიანები - მათ შორის ბავშვებიც - ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; ციფრული ბარიერები ცვლის აგრეთვე, ონლაინ გამოცდილების ხარისხსაც. ეს ორი მონაცემი შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს და მასში აირეკლოს ისეთი ფაქტორების ზეგავლენა, როგორიცაა მომხმარებელთა უნარები და განათლება, მოხმარებული ტექნიკა, ოჯახის შემოსავალი და მშობლიურ ენაზე რესურსების არსებობა ინტერნეტში. ზოგიერთი ბავშვი, რომელიც პირველად სარგებლობს ინტერნეტით, აღმოჩნდება ციფრულ სივრცეში, სადაც მისი ენა, კულტურა და პრობლემები საერთოდ არ არსებობს.

რატომ არის ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი? იმის მიუხედავად, ბავშვს სრულად მიუწვდება ხელი ინტერნეტზე, ნაწილობრივ თუ არანაირად, დღეს თითოეულ ბავშვს ციფრულ სამყაროში უწევს ცხოვრება, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის სამყაროში. მარტივად რომ ითქვას, ბავშვებს, რომლებსაც ინტერნეტი არ აქვთ, ხელი არ მიუწვდებათ დიდძალ

საგანმანათლებლო რესურზე, გლობალურ ინფორმაციასა და სასწავლო შესაძლებლობებზე. ისინი მოკლებულნი არიან ახალი მეგობრული კავშირების დამყარებისა და სრულფასოვანი თვითგამოხატვის საშუალებასაც.

მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვებისთვის, როგორებიც არიან, მაგალითად, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ინტერნეტის ქონა ან არქონა პირდაპირ შეიძლება ნიშნავდეს თანაბარ შესაძლებლობებსა და სოციალურ გარიყულობას შორის განსხვავებას. იძულებით გადაადგილებული ბავშვებისთვის ინტერნეტი ნიშნავს უფრო უსაფრთხო გადაადგილებას, საკუთარი ოჯახების წევრებთან კავშირის შენარჩუნებას, ასევე უცხო მიწაზე განათლების შესაძლებლობების მოძიებისა და სამსახურის შოვნის მეტ შანსს.

როცა ბავშვი ზრდასრულ ასაკს აღწევს და შრომით საქმიანობაში ერთვება, ინტერნეტზე წვდომა ან მისი უქონლობა მისთვის პირდაპირ შეიძლება ნიშნავდეს თავის რჩენის შესაძლებლობას ან ამ შესაძლებლობის არქონას. მათ, ვისაც ციფრულ ტექნოლოგიებზე მიუწვდებათ ხელი და შესაბამისი უნარები აქვთ, ბევრად მეტი უპირატესობა ექნებათ მათთან შედარებით, ვისაც არც ინტერნეტი აქვს და არც ციფრული უნარები გააჩნია. ზრდასრული მოსახლეობის გამოკითხვები ადასტურებს, რომ ციფრული ტექნოლოგიების სარგებელს არსებითად ისინი იღებენ, ვისაც შესაბამისი ტექნიკით სარგებლობის უნარი აქვს.



ციფრული კავშირი არა მხოლოდ „ჩვენი დროის ახალი აუცილებლობაა“, არამედ ის ასევე, იძლევა მონყვლადობის თაობათაშორისი ციკლის მოშლის შანსს.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების მონაცემების მიხედვით, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დიდ ზეგავლენას ახდენს შრომით საქმიანობაში ადამიანის ჩართულობაზე და მის ხელფასზეც. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ავსტრალია და შეერთებული შტატები, ზრდასრული ადამიანები, რომლებსაც ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის გამოცდილება არ გააჩნიათ, თუნდაც დასაქმებულები იყვნენ, ნაკლებს გამოიმუშავენ, ვიდრე ციფრულ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარების მქონე ადამიანები. ინდოეთსა და ტუნისში ჩატარებული ანალოგიური კვლევები იმავე შედეგებს აჩვენებს.

საფრთხე, რომ ინტერნეტი, თანაბარი შესაძლებლობების შექმნის ნაცვლად, უთანასწორობის მიზეზი გახდეს სრულიად რეალური და უკვე არსებულია. წარმოვიდგინოთ მობილური ტექნოლოგიები, რომლებმაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თითოეული ასპექტი მოიცვა, თანაც ერთდროულად. მსოფლიო

ბანკის „მსოფლიოს განვითარების 2016 წლის ანგარიში: ციფრული დივიდენდები“ ამბობს შემდეგს: „განვითარებად ქვეყნებში ოჯახების უმრავლესობას ხშირად მობილური ტელეფონი უფრო აქვს, ვიდრე ელექტროენერჯია და სუფთა წყალი; განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ყველაზე ღარიბი მეხუთედის დაახლოებით 70%-ს აქვს მობილური ტელეფონი.“ მობილურ ტელეფონს, შეიძლება, დიდი დრო დასჭირვებოდა ბარიერების მოსპობაში, მაგრამ ვინაიდან სმარტფონების მოხმარება უსწრაფესად გაიზარდა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ან უკვე არის ინტერნეტზე წვდომა.

ციფრული კავშირი მხოლოდ „ჩვენი დროის ახალი აუცილებლობა“ არაა; ის მონყვლადობის თაობათამორისი ციკლების მოშლის მანსს გვთვავობს, რაც, შესაძლოა, ყველაზე ღარიბმა ბავშვებმა სხვაგვარად ვერ შეძლონ.



ჩანაწერები „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“-ის ფარგლებში ჩატარებული ვორქშოპებიდან.

„აიპადი საზიარო მაქვს ჩემი ოჯახის ყველა წევრთან, ამიტომ მხოლოდ იშვიათად შემოძლია მისი ხმარება.“

გოგო, 15 წლის, მოლდოვას რესპუბლიკა.

„ხანდახან მინდა ინტერნეტში შესვლა, მაგრამ არავინ მყავს, ვინც დამეხმარება და მაჩვენებს, რა გავაკეთო“.

გოგო, 12 წლის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.

„ტექნიკა არ მაქვს“.

ბიჭი, 15 წლის, იორდანია

„ნელი ინტერნეტი მაქვს - სულ ირთვება და ყველაფერი მეკარგება“.

გოგო, 16 წლის, ტუნისი.

„ჩვენ კომპიუტერები და კომპიუტერული ლაბორატორია გვაქვს. ყოველთვის შეგვიძლია მათი გამოყენება, როცა მოგვინდება“.

გოგო, 16 წლის, ბუტანი.



2017 წლის დასაწყისში ვაიბაი ბუკას, კამერუნის უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრებ გოგონას, პირველად მიეცა ინტერნეტის გამოყენების საშუალება გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „დააკავშირე ჩემი სკოლა“ ფარგლებში. რეგიონის სკოლის მოსწავლეებს - რომლებზეც მძიმედ აისახა ჩადის ტბის ჰუმანიტარული კრიზისი - პროექტმა სატელიტური ინტერნეტის მონყობილობებითა და ტაბლეტებით სარგებლობის საშუალება მისცა. იუნისეფმა სთხოვა მათ, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ მოეყოლათ ფოტოებითა და ვიდეოებით.

03

ციფრული საფრთხეები: ონლაინ ცხოვრების ზიანი

თავი 3: საკვანძო პუნქტები

➤ ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა გაზარდა ტრადიციული რისკები (მაგალითად, ბულინგი) და შექმნა ბავშვებზე ძალადობისა და მათი ექსპლუატაციის ახალი ფორმები: „კლიენტზე მორგებული“ სექსუალური ვიდეო მასალა ბავშვების მონაწილეობით, თავად ბავშვების მიერ შექმნილი მასალა (ე.წ. sexting - სექსუალური შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინებები) და ბავშვების მონაწილეობით სექსუალური ვიდეოების „ცოცხალი სტრიმინგის“ პრაქტიკა.

➤ კრიპტოვალუტები, დაშიფრული პლატფორმები და ინტერნეტის ბნელი მხარე აადვილებს „ცოცხალ სტრიმინგს“ და ართულებს სადამსჯელო ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად.

➤ ბავშვები განსაკუთრებით ადვილად აღმოჩნდებიან **ონლაინ საფრთხეების წინაშე**, რაც მათი პირადი მონაცემების დაუცველობასაც გულისხმობს. ისინი ყველაზე ნაკლებად აცნობიერებენ **ონლაინ საფრთხეებს** და თანაც, მათ ყველაზე მეტ ზიანს აყენებს ეს საფრთხეები. მათი ეს განსაკუთრებული მონყვლადობა ხსნის იმას, თუ რატომ და როგორ იქცევა ხოლმე თეორიული რისკი ბავშვებისთვის რეალურ ზიანად.

➤ 2012 წლიდან დაახლოებით ასმა მილიონმა ბავშვმა, ძირითადად აფრიკიდან და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიიდან, პირველად ისარგებლა ინტერნეტით. სათანადო დაცვის მექანიზმების გარეშე, **მსოფლიოს ყველაზე მონყვლადი ბავშვები კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დადგებიან**, როცა **ონლაინ რისკების წინაშე აღმოჩნდებიან**.

ეს თავი შეისწავლის ციფრული სამყაროს ბნელ მხარეს, ონლაინ ცხოვრების საფრთხეებსა და ზიანს, მათ შორის ინტერნეტის ზეგავლენას კერძო ინფორმაციის დაცულობაზე. ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა გაზარდა ბავშვობის პერიოდში ზოგიერთი ტრადიციული საფრთხე: ოდესღაც ეს საფრთხეები სკოლის ეზოთი შემოიფარგლებოდა, ახლა კი მოძალადე საკუთარ მსხვერპლს სახლშიც მიჰყვება. ამის გარდა, შეიქმნა ახალი საფრთხეებიც: გაფართოვდა მოძალადეთა ქმედების არეალი, გაიზარდა „შეკვეთაზე მორგებული“, ბავშვებზე სექსუალური ზემოქმედების ამსახველი მასალა, ფრთა გაშალა ბავშვების მონაწილეობით სექსუალური ვიდეოების „ცოცხალი სტრიმინგის“ პრაქტიკამ. ონლაინ სტრიმინგის ერთი მცირეწლოვანი მსხვერპლი ამბობს: „როცა უცხოელები გვეუბნებიან, გაიხადე, ვიხდით“. გარდა ამისა, არსებობს საფრთხეები, რომლებიც სრულიად უცნობია ბავშვებისა და მშობლებისთვისაც: ესაა ბავშვების პირადი ინფორმაციისა და ვინაობის დაუცველობა. ინტერნეტის წყალობით მონაცემთა დამუშავებამ ინდუსტრიულ მასშტაბებს მიაღწია.

არცერთი ბავშვი, რომელიც ინტერნეტით სარგებლობს, ბოლომდე დაცული არაა ონლაინ საფრთხეებისგან, მაგრამ მათ შორის ყველაზე მონყვლადებს ეს საფრთხეები ყველაზე მეტად ემუქრება.

მადაგასკარში 17 წლის გოგოს საკუთარმა მასწავლებელმა 300 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა მოსთხოვა შემდეგ კლასში გადასასვლელად. გოგონა, რომელმაც ფული ვერ იშოვა, დაუკავშირდა კაცს, რომელსაც ინტერნეტით ეკონტაქტებოდა ნ თვის მანძილზე. „მან მომიტაცა და ორი თვე სახლში გამომკეტა. გამუდმებით მაუპატიურებდა.“ - ამბობს გოგონა. გოგონა პოლიციასთან არსებულმა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამსახურმა გაათავისუფლა. მას ჩაუტარეს მკურნალობა და გაუწიეს ფსიქოლოგიური დახმარება გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მთავრობის მიერ დაარსებულ მომსახურების ცენტრში. მოძალადე მამაკაციც და მასწავლებელიც დააპატიმრეს. „ახლა კარგად ვარ. სკოლასაც დავუბრუნდი,“ - ამბობს გოგონა. „ნეტავ რამე მცოდნოდა ამ ყველაფერზე. ჩემმა მშობლებმა არც იცოდნენ, რომ უცხოებს ველაპარაკებოდი ინტერნეტით“.

მშობლებისა და აღმზრდელების უმრავლესობისთვის ამ გოგონას ამბავი ყველაზე საშინელი კომპარია, რაც შეიძლება დაემართოს ბავშვს, როცა მას ინტერნეტთან აქვს წვდომა. მართალია, ამ გოგონას გამოცდილება ონლაინ საფრთხეების უკიდურესი მაგალითია, მაგრამ ის ამავე დროს ადასტურებს ინტერნეტში ბავშვებისთვის არსებული საფრთხეების შესახებ საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ინტერნეტთან შეიძლება სრულიად უძლიერი აღმოჩნდეს ბავშვების დაცვის ტრადიციული მექანიზმები, ის ყველაფერი, რასაც

საზოგადოებათა უმრავლესობა წარმოიდგენს და აკეთებს ბავშვების დასაცავად. ინტერნეტი ბავშვისთვის ხელმისაწვდომს ხდის ისეთი შინაარსის მასალას, რომელიც მას სხვაგვარად ხელში ვერ ჩაუვარდებოდა, ასევე ამყარებინებს პოტენციურად საშიშ ურთიერთობებს გარე სამყაროსთან, რომლებსაც ის სხვაგვარად ვერ დაამყარებდა.

ეს საფრთხეები ახალი როდია: ბავშვები დიდი ხანია არიან ძალადობისა და ბულინგის მსხვერპლი, მათ ადრეც აჩვენებდნენ ძალადობის ან სექსუალური შინაარსის შემცველ მასალებს, ისინი არც ადრე იყვნენ ბოლომდე დაცულები სექსუალური მოძალადეებისგან. მაგრამ მშობლების უმრავლესობა მაინც თანხმდება იმაზე, რომ ამგვარი საფრთხეებისგან ბავშვების დაცვა ადრე უფრო ადვილი იყო. ოდესღაც სახლის კარი სკოლის ეზოს მოძალადეებისთვის ბარიერს წარმოადგენდა. ახლა კი, სოციალური მედია-საშუალებების წყალობით, მოძალადეს შეუძლია ბინაში შეჰყვეს საკუთარ მსხვერპლს.



არცერთი ბავშვი არაა დაცული ონლაინ საფრთხეებისგან და არასოდეს ყოფილა ასეთი ადვილი ყველაზე მონყვლადი ბავშვების მიზანში ამოღება ბულინგის მოყვარულების, სექსუალური მოძალადეების, ადამიანით მოვაჭრეებისა და ბავშვებისთვის სხვა სახის ზიანის მიმყენებელი პირების მიერ.

თანამედროვე მკვლევარები ონლაინ რისკების ვრცელ ჩამონათვალს სამ კატეგორიად ყოფენ: შინაარსობრივ, კონტაქტურ და ქცევით რისკებად.

შინაარსობრივი რისკები: როცა ბავშვისთვის ხელმისაწვდომია არასასურველი და მისი ასაკისთვის შეუფერებელი შინაარსის მასალა. ის შეიძლება შეიცავდეს სექსუალური, პორნოგრაფიული ხასიათისა და ძალადობის შემცველ ვიდეო და ფოტო მასალას, არასასურველ რეკლამას, რასისტულ, დისკრიმინაციულ გამონათქვამებსა და სიძულვილის ენის შემცველ ინფორმაციას, ვებ-გვერდებს, რომლებიც აქებებს არაჯანსაღ ან საშიშ ქცევას, მაგალითად, საკუთარი სხეულის დაზიანებას, თვითმკვლელობას, ანორექსიას და სხვა.

კონტაქტური საფრთხეები: როცა ბავშვი ჩართულია სახიფათო ურთიერთობაში. ეს არის, მაგალითად, ასაკისთვის შეუფერებელი შინაარსის კომუნიკაცია ზრდასრულის მხრიდან, ბავშვის ნახალისება სექსუალური მიზნით, ბავშვის რადიკალიზების მცდელობა, მისი ნაქვებება არაჯანსაღი და საშიში ქცევისაკენ და სხვა.

ქცევითი რისკები: როცა ბავშვის ქცევა ხელს უწყობს მისთვის სახიფათო კავშირების დამყარებას. ეს შეიძლება გამოჩნდეს ბავშვის ნაწერებში ან გამოიხატოს სხვა ბავშვების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებაში, რასიზმის ნაქვებებში, სექსუალური შინაარსის ფოტომასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებაში, მათ შორის ისეთი მასალის გავრცელებაში, რომელიც ბავშვმა თავისითაც შეიძლება შექმნას.

აუცილებელია ამ საფრთხეების ანალიზი კონტექსტში. ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებამ ყველა ბავშვი შეიძლება დააყენოს ონლაინ საფრთხის წინაშე, მაგრამ ბავშვების უმრავლესობისთვის ეს საფრთხე მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობად რჩება. არსებითია იმის გაგება, თუ რატომ გადაიქცევა ხოლმე საფრთხე რეალურ ზიანად ზოგიერთი ბავშვისთვის და არა სხვებისთვის. ეს დაკვირვება თვალს აგვიხელს და დაგვანახებს ბავშვების ცხოვრებაში არსებულ მოწყვლად ასპექტებს, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნის პატარებს. ამ მოწყვლადობის გაცნობიერებითა და მისი აღმოფხვრით შევძლებთ, უკეთ დავიცვათ ბავშვები როგორც ინტერნეტ სივრცეში, ისე რეალურ ცხოვრებაში და საშუალება მივცეთ მათ, ბოლომდე ისარგებლონ ციფრული სამყაროს შესაძლებლობებით.



ჩანაწერები „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“-ის ფარგლებში ჩატარებული ვორქშოფებიდან.

„ფოტო დავდე ფეისბუქში და ისეთი კომენტარი მივიღე, რომ პანიკამ შემიპყრო“.

ბიტი, 14 წლის, სენეგალი.

„არ მსიამოვნებს, როცა დედა ჩემი თანხმობის გარეშე დებს ქსელში ჩემს სურათს“.

გოგო, 15 წლის, პარაგვაი.

„ძალიან ვერიდები ჩემი პირადი სივრცის დარღვევას“.

გოგო, 17 წლის, ბრაზილია.

„ჩემი პირადი სივრცე მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვზრუნავ იმაზე, რომ ყველას არ შეეძლოს ჩემი ფოტოების, ჩემი სტატუსებისა და ჩემ მიერ გაზიარებული ინფორმაციის ნახვა.“

ბიტი, 15 წლის, გვატემალა.

„მანუხებს ის, რომ თუ ჩემ პროფილს გატეხავენ, ვიდაც უცხო შეძლებს ჩემი სახელით ცუდი რამის გამოქვეყნებას.“

გოგო, 16 წლის, ბურუნდი.



17 წლის ანჟელინ ჩონგი სადილზე მიდის თანაკლასელებთან ერთად კუალა ლუმპურში, მალაიზიაში. კიბერბულინგის ყოფილი მსხვერპლი, ანჟელინი შეუერთდა ახალგაზრდა ჟურნალისტების პლატფორმას R.AGE მას შემდეგ, რაც წაიკითხა ამ პლატფორმის მიერ 2016 წელს ჩატარებული საიდუმლო გამოძიების ანგარიში სექსუალურ მოძალადეებზე, რომლებიც მობილურ აპლიკაციებს იყენებდნენ მცირეწლოვან გოგონებზე ზეწოლის მიზნით. მალაიზიური პოლიციის სექსუალურ დანაშაულთა გამოძიების სამსახურის თანახმად, 2015 წელს ინტერნეტით გაცნობის შედეგად გაუპატიურების მსხვერპლთა 80%-ს 10-დან 18 წლამდე ბავშვები შეადგენენ.

04

ციფრული ბავშვობა: ონლაინ ცხოვრება

თავი 4: საკვანძო პუნქტები

➤ ის, იღებენ თუ არა ბავშვები სარგებელს ციფრული გამოცდილებიდან, მათი **ცხოვრების პირობებზეცაა** დამოკიდებული. ბავშვებს, რომლებსაც მტკიცე ოჯახური ურთიერთობები და კარგი მეგობრული კავშირები აქვთ, ინტერნეტი კიდევ უფრო ეხმარება ამ კავშირების გაძლიერებაში და, შესაბამისად, ციფრული გამოცდილება ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება. ხოლო მართობაში, სტრესში, ოჯახურ პრობლემებში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობა ინტერნეტმა შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს.

➤ ციფრული ტექნოლოგიების არქონამ ან მათმა ბოროტად გამოყენებამ, შეიძლება, უარყოფითი შედეგები გამოიღოს, მაგრამ **ზომიერი სარგებლობა დადებით შედეგს იძლევა.**

➤ **გამომუშავდება თუ არა ბავშვებს ინტერნეტზე დამოკიდებულება? მეცნიერთა აზრით, არა.** ამ ტერმინის გამოყენება ბავშვების მიერ ტექნოლოგიებით სარგებლობის კონტექსტში არასწორი და ხანდახან ზიანის მომტანიცაა.

➤ შეუძლებელია, არ გავითვალისწინოთ მშობლებისა და აღმზრდელების შფოთვა იმის შესახებ, რომ ბავშვები მეტისმეტად ბევრ დროს ატარებენ ეკრანებთან, მაგრამ აუცილებელია, ამ საკითხზე **უფრო ვრცელ კონტექსტში ვიფიქროთ, გავითვალისწინოთ სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ბავშვების კეთილდღეობაზე:** ოჯახური მდგომარეობა, სასკოლო გარემო, ფიზიკური დატვირთვა, კვება და სხვა.

ეს თავი იკვლევს ციფრული ტექნოლოგიების იმ ასპექტებს, რომლებიც ცვლის ბავშვობას როგორც უკეთესობის, ასევე უარესობისკენ. ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა უკვე შეცვალა ბავშვების ფორმირების პროცესი, მათი მეგობრული ურთიერთობების ხასიათი. ეს ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ბავშვებს, მუდმივ კავშირში იყვნენ თავიანთ თანატოლებთან. ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეცვალა ბავშვების თავისუფალი დროის კონცეფცია და მისი შინაარსი, მათი გართობის საშუალებები, შეუზღუდავი წვდომა მისცა ბავშვებს ვიდეო მასალებზე, სოციალური მედიის ინფორმაციასა და აზარტულ თამაშებზე. უფროსების აზრით ეს ცვლილებები ყოველთვის საკეთილდღეო არაა, მშობლები შფოთავენ, რომ ეკრანთან გატარებული დრო ბავშვებს წყვეტს საკუთარ ოჯახებსა და გარემოცვას, ასაზრდოებს დეპრესიას და ზრდის სიმსუქნის რისკებს ბავშვებში.

ვიდეო თამაშები. ტელევიზია. კომიქსები. რადიო. გუგლს თუ დავეკითხებით, ვნახავთ, რომ მშობლებიცა და საზოგადოებაც ძალიან დელავენ იმ ზეგავლენის გამო, რასაც ტექნოლოგიები ახდენს ბავშვების კეთილდღეობაზე, მაგრამ იმაშიც დავრწმუნდებით, რომ ეს შფოთვა ახლა არ დანყებულა.

რადიოს ადანაშაულებდნენ უძილობაში; კომიქსების წიგნებს - ბავშვების კრიმინალური მიდრეკილებებისა და ცუდი ქცევის წახალისებაში; ტელევიზიას - მათ სოციალურ იზოლაციაში. მოგვიანებით იმავეს ამბობდნენ ვიდეო და ქსელურ თამაშებზეც.

მეთექვსმეტე საუკუნეში ზოგი შიშობდა, რომ წერა გულმავინეობას გამოიწვევდა, რადგან ხალხი საკუთარ მეხსიერებას აღარ დაეყრდნობოდა ინფორმაციის დასამახსოვრებლად. იყო დრო, როცა იმაზეც დელავენ, რომ წიგნები და ბეჭდური პრესა კაცობრიობას იქამდე მიიყვანდა, რასაც დღეს ჭარბ ინფორმაციას ვუწოდებთ.

დიახ, ისევე, როგორც მისი ინოვაციური წინამორბედები, ინტერნეტიც - და ის, თუ როგორ იყენებენ მას ბავშვები - ასაზრდოებს სხვადასხვა ფორმისა და მასშტაბის შფოთვისა და უნდობლობას. ონლაინ კავშირის მარტივად გამორთვა ან გვერდზე გადადება უფრო ძნელია და იმის კონტროლიც უფრო რთულია, თუ როგორ და რა დოზით იყენებენ მას ბავშვები. და იმ დროს, როცა ბავშვი ჩართულ კომპიუტერთან ზის გართობის, ინფორმაციის მოძიებისა თუ სოციალურ ქსელებში ყოფნის მიზნით, ის კომპიუტერი მის შესახებაც აგროვებს ინფორმაციას.

ბავშვებზე ონლაინ კავშირისა და ინტერაქტიურობის ზეგავლენასთან დაკავშირებული ეჭვები და კითხვები არ ასვენებს მშობლებს, აღმზრდელებს, პოლიტიკის

შემქმნელებსა და ინდუსტრიების ხელმძღვანელებს. უქმნის თუ არა ციფრული ჩართულობა საფრთხეს ბავშვების კეთილდღეობას? ხარჯავენ თუ არა ბავშვები მეტისმეტად დიდ დროს ინტერნეტში? ვის ემუქრება ყველაზე დიდი საფრთხე? რისი გავლენა შეუძლიათ მშობლებსა და აღმზრდელებს იმისთვის, რომ ბავშვებს დაუტოვონ გართობის, დამოუკიდებელი კვლევა-ძიების, თვითგანვითარების სივრცე ისე, რომ სათანადო კონტროლიც შეძლონ?

ის, იღებენ თუ არა ბავშვები სარგებელს ციფრული გამოცდილებიდან, მათი ცხოვრების პირობებზეცაა დამოკიდებული. ბავშვებს, რომლებსაც მტკიცე ოჯახური ურთიერთობები და კარგი მეგობრული კავშირები აქვთ, ინტერნეტი კიდევ უფრო ეხმარება ამ კავშირების გაძლიერებაში და, შესაბამისად, ციფრული გამოცდილება ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება. ხოლო მართლობაში, სტრესში, ოჯახურ პრობლემებში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობა ინტერნეტმა შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს. თუმცა პირიქითაც ხდება: ბავშვებმა, რომლებიც ძირითადად ინტერნეტის გარეშე ცხოვრობენ, შეიძლება ხანდახან ახალი მეგობრები გაიჩინონ და ისეთი დახმარება მიიღონ ქსელის საშუალებით, რომელსაც სხვაგვარად ვერაფრით ვერ მიიღებდნენ.



მშობლებს და მასწავლებლებს უნევთ წინააღმდეგობრივი გადანყვეტილებების მიღება: ერთი მხრივ, უნდა შეზღუდონ ეკრანთან გატარებული დრო, მეორე მხრივ კი, უნდა მიაწოდონ ბავშვს უახლესი ტექნოლოგიები, რომ ბავშვი სხვებს არ ჩამორჩეს.

დღემდე გრძელდება კამათი იმის შესახებ, თუ რამდენი დრო უნდა გაატაროს ბავშვმა ეკრანთან, თუმცა ის ძალიან მოძველებული და უსარგებლოა. არ არსებობს მკაფიო განსაზღვრება ან რამე სახის შეთანხმება იმაზე, თუ როდის სცდება ციფრულ ტექნოლოგიებთან გატარებული დრო ზომიერს და იქცევა მეტისმეტად. ის, თუ რა არის „მეტისმეტი“, უადრესად ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, მის პირად მახასიათებლებზე და ზოგადად უფრო ფართო კონტექსტზე, რომელშიც ცხოვრობს ბავშვი. ბავშვი, რომელიც დიდ დროს ატარებს ინტერნეტში, ვერც კი შეაფასებს, თუ რამდენ დროს ატარებს ის ციფრულ ტექნოლოგიებთან, რადგან ფაქტიურად მუდმივად იყენებს ინტერნეტს.

ამ საკითხებზე ბევრი ფიქრისა და კვლევის შედეგად მაინც იკვეთება გარკვეული, არსებითი სიმართლე: ბავშვების მიერ ციფრული მედია-საშუალებების გამოყენების შეზღუდვაზე მეტად მშობლებმა და აღმზრდელებმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ მეტი ყურადღება გამოიჩინონ ბავშვებისადმი და დაეხმარონ მათ, მაქსიმალურად ისარგებლონ ინტერნეტით,

მაგრამ უსაფრთხოდ. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს არა ეკრანების წინ გატარებული დროის კონტროლსა და შეზღუდვას, არამედ მის შინაარსს: იმას, თუ რას აკეთებენ ბავშვები ონლაინ. და ბოლოს, სიღრმისეული კვლევა და სწორი პოლიტიკა ბავშვის ცხოვრების მთლიან კონტექსტს უნდა ითვალისწინებდეს - ასაკს, გენდერს, ხასიათს, ცხოვრების პირობებს, სოციალურ და კულტურულ გარემოს და სხვა ფაქტორებს - რათა გავიგოთ, სად გადის ზღვარი ინტერნეტის სასარგებლო და საზიანო გამოყენებას შორის.

ბავშვების კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი მიდგომის გამოყენება და ყურადღების გამახვილება ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც, როგორც ყველამ ვიცით, უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრებაზე, ვიდრე ეკრანთან გატარებული დრო. ეს ფაქტორებია ოჯახური მდგომარეობა, ვითარება სკოლაში, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი ციფრული ტექნოლოგიების ზომიერ და გონივრულ გამოყენებას.



ჩანაწერები „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“-ის ფარგლებში ჩატარებული ვორქშოპებიდან.

„დედაჩემთან ჩხუბი მომივიდა იმის გამო, რომ მეტისმეტად დიდ დროს ვატარებ კომპიუტერთან და საკმარის დროს არ ვუთმობ სწავლას“.

გოგო, 13 წლის, კორეის რესპუბლიკა.

„პატარაობიდან კომპიუტერებითა და სხვა ციფრული მოწყობილობებით ვარ გარემოცული და ძნელია, მათზე დამოკიდებულება არ გამოიმუშავდეს“.

ბიჭი, 15 წლის, იაპონია.

„ჩემი მასწავლებელ შიშობდა, რომ საშინაო დავალებას არ გავაკეთებდი და ინტერნეტში დავკარგავდი დროს“.

ბიჭი, 17 წლის, მალაიზია.

„მეშინია, რომ ჩემი სწავლის შედეგები გაუარესდება.“

გოგო, 16 წლის, ტაილანდი.

„მგონია, რომ ინტერნეტმა დაგვაახლოვა მათთან, ვინც ჩვენგან შორსაა და დაგვაშორა მათ, ვინც ჩვენ გვერდითაა...“

გოგო, 16 წლის,

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა.



სოფელ პორუმბერიში, კიშინოვთან ახლოს, მოლდოვას რესპუბლიკაში, 17 წლის გაბრიელა ვლადი იყენებს მობილურ ტელეფონს დედასთან სალაპარაკოდ. 18 წლამდე მოლდოველი ბავშვების დაახლოებით 21%-ის მინიმუმ ერთი ბიოლოგიური მშობელი საზღვარგარეთაა სამუშაოდ წასული, რათა იქიდან არჩინოს ოჯახი. ციფრული ტექნოლოგია უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო საშუალებაა ბავშვების, მოზარდებისა და ზრდასრულების დასახმარებლად „მშობლების გადინების“ ფენომენტთან გასამკლავებლად.

05

ციფრული პრიორიტეტები: პარბის ხელშეწყობა, ზიანის შემცირება



ვორქშოფის მონაწილე მობარდები აღმოსავლეთ ტიმორში საუბრობენ იმაზე, თუ რა ფაქტორები აბრკოლებს ინტერნეტზე წვდომას.

ეჭვი არაა, რომ ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო მეტი ბავშვის მომავალზე მოახდენს ზეგავლენას. ბავშვები უკვე შეადგენენ მსოფლიოს ინტერნეტით მოსარგებლე მოსახლეობის დიდ პროცენტს და ეს რიცხვი ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ინტერნეტი ისეთ რეგიონებშიც აღწევს, სადაც ბავშვებისა და მოზარდების წილი მოსახლეობაში უსწრაფესად იზრდება. მეტი კომპიუტერი და ციფრული პლატფორმა გახდება ხელმისაწვდომი მთელ მსოფლიოში. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზეგავლენა ყოველთვის აისახება ბავშვების ცხოვრებაზე სასიკეთოდაც და საზიანოდაც და თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორცაა ნივთების ინტერნეტი და ხელოვნური ინტელექტი, გლობალური მასშტაბით შეცვლის ციფრულ პანორამას.

მომავალში ბავშვების მიერ ამ ცვლილებების აღქმაც ძალიან შეიცვლება და მასში აირეკლება ის, თუ როგორ აღიქვამენ ისინი „რეალურ სამყაროს“. გასაკვირი არაა, რომ ყველაზე გარიყულები ის ბავშვები აღმოჩნდებიან ხოლმე, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირთ და სჭირდება დახმარება. როგორც წესი, ამ ბავშვებს ინტერნეტისა და ციფრული სამყაროს სიკეთეებით სარგებლობის ყველაზე ნაკლები შანსი ეძლევა, სამაგიეროდ მათ ადვილად აყენებს ზიანს ტექნოლოგიების უარყოფითი მხარეები. სხვა კრიტიკული ფაქტორებიც - გენდერი, განათლება, ტრადიციები, ენა და გეოგრაფიული კონტექსტი - მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმაში, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს ბავშვების ცხოვრებაზე ტექნოლოგიები, დადებითს თუ უარყოფითს.

უკვე უამრავი საერთაშორისო ინსტრუმენტი, დირექტივა, შეთანხმება და პრინციპია შემუშავებული ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა თავისუფლება, გახსნილობა, ქსელის ნეიტრალობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებები ინტერნეტში. ამიტომ დირექტივებისა და მეთოდური რეკომენდაციების დამატება კი არაა საჭირო, არამედ საერთო პრინციპებზე შეთანხმება და პრიორიტეტულ ქმედებათა დაგეგმვა აუცილებელი, იმ პასუხისმგებლობის აღიარება, რაც ყველას გვაკისრია ციფრული სამყაროს საფრთხეებისაგან ბავშვების დასაცავად და თითოეული ბავშვის დასახმარებლად, თითოეული ბავშვისთვის ინტერნეტის შესაძლებლობებით სარგებლობის შანსის მისაცემად.

ეს მხოლოდ ბავშვების ინტერესი როდია. ეს მნიშვნელოვანია ციფრული სამყაროს მთელი საზოგადოებისთვის, რადგან სწორედ საზოგადოება მიიღებს სარგებელს ციფრული

ცოდნისა და უნარების მქონე ბავშვებისგან, იმ თაობისგან, რომელიც უსაფრთხოდ გამოიყენებს ინტერნეტის აურაცხელ შესძლებლობას, აიცილებს რისკს და გზას გაიკვალავს უფრო ნაყოფიერი მომავლისაკენ.

ამ ანგარიშში გამოკვეთილი სამოქმედო პუნქტები არაა ამომწურავი, მაგრამ ისინი იმ არსებით, საკვანძო პრინციპს ასახავს, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს პოლიტიკის შემუშავებასა და პრაქტიკულ ქმედებებს ციფრულ სფეროში: ბავშვის დაცვისა და პატივისცემის პრინციპს.

1. ბავშვების უზრუნველყოფა უფრო იაფი და მაღალი ხარისხის ონლაინ რესურსებით

ციფრული ხელმისაწვდომობა სულ უფრო და უფრო ხდება ბავშვების თანაბარი შესაძლებლობის განმსაზღვრელი. ციფრული ტექნოლოგიები ბავშვებისთვის ნიშნავს, რომ მათ ხელი მიუწვდებათ ინფორმაციაზე, ცოდნაზე, დასაქმების შესაძლებლობებზე, შეუძლიათ იზრუნონ საკუთარი თემის პრობლემების მოგვარებაზე და იყონ სოციალურად აქტიურები. თუმცა, ბავშვები ჯერ კიდევ უამრავ დაბრკოლებას აწყდებიან ინტერნეტის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და ისიც კი, ვინც სარგებლობს ინტერნეტით, ხშირად ვერ ახერხებს ონლაინ რესურსების ბოლომდე და სასიკეთოდ გამოყენებას.

ბავშვებისთვის მაღალი ხარისხის ონლაინ რესურსებზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ შემდეგი ქმედებებისკენ მოუწოდებს:

➤ **შემცირდეს ინტერნეტით სარგებლობის საფასური.** სერვის-პროვაიდერებს შორის ინოვაციური მიდგომების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით

17 წლის გოგონას მინას-ჟერაის შტატში, ბრაზილიაში, უჭირავს მობილური ტელეფონი, რომელზეც ჩანს აპლიკაცია Proteja Brasil (დაიცავი ბრაზილია). ეს აპლიკაცია გაეროს ბავშვთა ფონდისა და მისი პარტნიორების შექმნილია ბავშვებზე და მოზარდებზე ძალადობის, მათ შორის ონლაინ ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტებზე ინფორმაციის შეგროვების მიზნით.



შემუშავებულ საბაზრო სტრატეგიებს შეუძლია ინტერნეტით სარგებლობის საფასურის შემცირება. არსებულ ინფრასტრუქტურაში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების ინტეგრირებით ინტერნეტის გავრცელების ხარჯების შემცირებაც შესაძლებელია. ტელეკომუნიკაციების ინდუსტრიისთვის საგადასახადო და სხვა სახის შეღავათების შეთავაზებამ იმ მიზნით, რომ მათ ინტერნეტით სარგებლობის საფასური შეუმცირონ ხელმოკლე თემებსა და ოჯახებს, შეიძლება, მნიშვნელოვნად შეცვალოს მდგომარეობა.

➤ **საჯარო ინტერნეტ პუნქტებში ინვესტირება.** სკოლებში, ბიბლიოთეკებში, სათემო თავშეყრის ადგილებში, პარკებსა და სავაჭრო ცენტრებში ინტერნეტით სარგებლობის საჯარო პუნქტების შექმნამ, შეიძლება, საგრძნობლად შეცვალოს ვითარება იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც ხელი არ მიუწვდება ინტერნეტზე. ღარიბ უბნებში მობილური ინტერნეტ პუნქტების შექმნა, როგორცაა Wi-Fi ავტობუსები, ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს მოსახლეობას.

➤ **ბავშვებისთვის თემატურად რელევანტური ინტერნეტ-რესურსების შექმნა მათ მშობლიურ ენებზე.** როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორი უნდა მუშაობდეს იმაზე, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიქმნას რელევანტური ონლაინ-რესურსი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი რესურსის შექმნა უმცირესობათა ენებზე და გეოგრაფიულად იზოლირებულ, მეჩხერად დასახლებულ პუნქტებში.

➤ **ინტერნეტზე თანასწორი წვდომის უზრუნველყოფით დაინგრეს კულტურული, სოციალური და გენდერული ბარიერები.** ინტერნეტით უსაფრთხოდ სარგებლობისა და ციფრული უნარების განვითარების მიზნით შემუშავებული ტრენინგ-პროგრამები დაარწმუნებს გოგონებს საკუთარ შესაძლებლობებში და დაეხმარება მათ მათი ოჯახებისთვის პრობლემური საკითხების მოგვარებაშიც. თემებს შორის დიალოგის ხელშეწყობა დაანგრევს მითს, რომ გოგონებს არ შეუძლიათ ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენება. დამხმარე ტექნოლოგიები და ინტერნეტ პლატფორმები ახალი ურთიერთობების დამყარებაში, სწავლასა და განვითარებაში დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს.

➤ **იძულებით გადაადგილებული ბავშვების დახმარება, რომ ხელი მიუწვდებოდეთ ციფრულ მონყობილობებსა და ინტერნეტზე.** მთავრობები, დახმარების სააგენტოები და კერძო სექტორი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ლტოლვილთა ბანაკებში, საიმიგრაციო ცენტრებსა და სხვა საჯარო სივრცეებში, სადაც იძულებით გადაადგილებული ბავშვები ცხოვრობენ, უზრუნველყოფილი იყოს ინტერნეტზე წვდომა. ბავშვებს უნდა შეეძლოთ თავიანთ ოჯახებთან და მეგობრებთან დაკავშირება. დახმარების სააგენტოები უფრო მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ კერძო სექტორთან იმ მიზნით, რომ დახმარების პაკეტების შემადგენლობაში ციფრული მომსახურება და მონყობილობებიც შევიდეს.

2. ბავშვების დაცვა ონლაინ საფრთხეებისაგან

ციფრულმა ეპოქამ გაზარდა არსებული რისკები და ახალი საფრთხეები შეუქმნა ბავშვებს. ძალადობა, ექსპლუატაცია და ბავშვებით ვაჭრობა არა მხოლოდ ინტერნეტის ბნელ მხარეშია აქტუალური, არამედ ძირითად ციფრულ პლატფორმებსა და სოციალურ მედიაშიც ხშირად გვხვდება. ბავშვებს ემუქრება სხვა საფრთხეებიც, როგორცაა კიბერბულინგი, ასაკისთვის შეუფერებელი ონლაინ რესურსები და მასალა, მაგალითად, პორნოგრაფიული და აზარტული თამაშების საიტები. ამ საიტებზე ბავშვები დაუბრკოლებლად შედიან და ბევრი მათგანისთვის უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ონლაინ მიყენებულმა ზიანმა, შეიძლება, სამუდამოდ დაუმახინჯოს ცხოვრება პატარას.

არსებული და ახალი ონლაინ საფრთხეებისაგან ბავშვების დასაცავად „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ შემდეგი ქმედებებისკენ მოუწოდებს:

➤ **კანონის გაძლიერებისა და ბავშვთა დაცვის მხარდაჭერა.** კერძო სექტორსა და განსაკუთრებით ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე კომპანიებს უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ციფრული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, რათა ბავშვები უფრო დაცულნი იყონ ინტერნეტში.

➤ **We Protect Global Alliance-ის სტრატეგიული ჩარჩოს მიღება და განხორციელება.** ინტერნეტის საშუალებით სექსუალურ ექსპლუატაციასთან ბრძოლის მიზნით შემუშავებული We Protect Global Alliance-ის ჩარჩო უკვე 70-მა ქვეყანამ მიიღო. ეს მოდელი კოორდინირებული, კომპლექსური პასუხია ამ პრობლემაზე და ის სხვადასხვა არეალისთვის შემუშავებულ სამოქმედო რეკომენდაციებს შეიცავს.

➤ **დაცვის ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება ბავშვების სულ უფრო დახვეწილ ციფრულ უნარებზე.** ინტერნეტის საფრთხეებისაგან ბავშვების დაცვის სტრატეგიები თავად ბავშვების ასაკს, ცოდნასა და უნარებსაც უნდა ითვალისწინებდეს. მცირეწლოვან ბავშვებს მეტად სჭირდებათ მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა, მათთვის სანდო პირების მეთვალყურეობა და დახმარება, მოზრდილი ბავშვები კი უფრო დამოუკიდებელი არიან და მათ ხანდახან გარისკვაც უნდათ. გონიერების ფარგლებში საკუთარ თავზე რისკის აღება საჭიროცაა ბავშვისთვის, რათა მან განივითაროს ადაპტირების, თავდაცვისა და პრობლემებთან გამკლავების უნარი.

➤ **იმ ადამიანების მხარდაჭერა, ვისაც ბავშვების დახმარება შეუძლია.** სანდო მონაცემებზე დაფუძნებული პროგრამები და პოლიტიკა დაგვეხმარება მშობლებისა და ბავშვების ზრუნვაზე პასუხისმგებელი სხვა პირებისთვის მიზნობრივი სტრატეგიების შემუშავებაში. საჭიროა ამ ადამიანების დახმარება ბავშვებთან დადებითი კომუნიკაციის უნარის განვითარებაში: მათ უნდა შეძლონ, აუხსნან ბავშვებს ციფრული ტექნოლოგიების გონივრულად გამოყენების მნიშვნელობა და მხოლოდ შეზღუდვებითა და აკრძალვებით არ შემოიფარგლონ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თანატოლთა მონიტორინგის პროგრამებიც, რადგან მათი საშუალებით ბავშვები ერთმანეთის დახმარებასაც უფრო ეფექტურად მოახერხებენ.

3. ბავშვების პირადი მონაცემებისა და იდენტობის დაცვა ინტერნეტში

სამყაროში, სადაც თითოეული ციფრული ნაბიჯი სადღაც აღიბეჭდება და ეს ინფორმაცია ფართო აუდიტორიისთვის ერთი თითის დაჭერით შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი, ბავშვებს ახალი საფრთხეები ემუქრებათ პირადი ინფორმაციისა და რეპუტაციის ხელყოფის და იდენტობის დაუცველობის

თვალსაზრისით. სოციალური მედიით სარგებლობისას გენერირებული მონაცემები შეიძლება არასათანადოდ იქნას გამოყენებული, მაგალითად, სარეკლამო, მარკეტინგული ან დევნისა და თვალთვალის მიზნით. ინტერნეტთან დაკავშირებულ სათამაშოებს კი შეუძლია მცირეწლოვანი ბავშვების გრძნობები და ფიქრები სათამაშოების მწარმოებელ კომპანიებს და, პოტენციურად, უფროსების ფართო აუდიტორიას გაუზიაროს.

ბავშვების პირადი მონაცემებისა და მათი იდენტობის დაცვის მიზნით „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ შემდეგი ქმედებებისკენ მოუწოდებს:

➤ **უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა ბავშვების პირადი მონაცემების, რეპუტაციისა და იდენტობის დაცვის მიზნით.** მთავრობებს, კერძო კომპანიებს, სკოლებსა და სხვა ინსტიტუციებს ხელთ აქვთ ბავშვების შესახებ სულ უფრო და უფრო მეტი მონაცემი, რომლებიც ონლაინ გროვდება და ინახება. თითოეულ ამ ორგანიზაციასა და ინსტიტუციას ევალება ამ მონაცემების დაცვა საერთაშორისო და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

➤ **ბავშვების პირადი მონაცემების მაქსიმალური დაცვის ტექნიკური უზრუნველყოფა.** პირადი მონაცემების მაქსიმალური დაცვა უნდა შედიოდეს ციფრული მონაცემებისა და პლატფორმების საბაზო ინტერუმენტებში და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი ტექნოლოგიების შექმნის პროცესში. კომპანიები, რომლებიც მართავენ სოციალურ მედიასა და სხვა პლატფორმებს, მოხმარების პირობებს უნდა აცალიბებდნენ მარტივი, ბავშვებისთვის გასაგები ენით და სთავაზობდნენ ბავშვებს ადვილ გზებს წამოჭრილი პრობლემების დროული შეტყობინებისთვის.

➤ **ალიკვეთოს ბავშვების პირადი მონაცემების კომერციული მიზნებით გამოყენება.** კერძო კომპანიები არ უნდა ცდილობდნენ, მოგების მიზნით, მაგალითად, მიზნობრივი რეკლამისთვის, გამოიყენონ ბავშვების პირადი მონაცემები. მათ უნდა შეიმუშავონ ეთიკური პროტოკოლი და მკაცრი კონტროლის მექანიზმები ბავშვების მონაცემთა დაცვის მიზნით.

➤ **ბავშვების მონაცემებთან და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან მიმართებაში დაცული იყოს შიფრირების პრინციპი.** ბავშვთა განსაკუთრებული მონაცვლადობის გათვალისწინებით, მათ

მონაცემთა დასაცავად აუცილებელია დაცვისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის დამატებითი ზომების გამოყენება. სასარგებლო იქნება ბავშვთა მონაცემების შიფრირება იმისთვის, რომ სამართალდამცავ ორგანოებს გაუადვილდეს საგამოძიებო პროცედურების წარმართვა ისეთ ონლაინ დანამაულებათა გამოსაძიებლად, როგორცაა ბავშვებზე ინტერნეტით განხორციელებული სექსუალური და ემოციური ძალადობა.

4. ბავშვების დახმარება ციფრული უნარების განვითარებაში, რათა ისინი უფრო ინფორმირებულები, აქტიურები და დაცულები იყონ ინტერნეტ სივრცეში.

დღევანდელი ბავშვები ციფრული სამყაროს შვილები არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ სჭირდებათ დახმარება და მხარდაჭერა ინტერნეტით უფრო ეფექტურად სარგებლობისთვის. ბავშვებს თავად არ ესმით, რამდენად მონყვლადები არიან ონლაინ საფრთხეების წინაშე და ვერც იმ პასუხისმგებლობას აცნობიერებენ, რაც მათ აკისრიათ: იყონ წესიერი ციფრული მოქალაქეები.

➤ **ბავშვების ციფრული ცოდნის ხელშეწყობისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების მიზნით გამოყენებისთვის „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ შემდეგი ქმედებებისკენ მოუწოდებს:**

ციფრული განათლება სკოლებში. რადგან ბავშვები სულ უფრო მცირეწლოვან ასაკში იწყებენ ინტერნეტით სარგებლობას, სკოლებმა - განსაკუთრებით კი საჯარო სკოლებმა - დაწყებითი კლასებიდანვე უნდა იზრუნონ სასწავლო პროგრამებში ციფრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებაზე.

➤ **ბავშვებისთვის იმ ონლაინ საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელთა სანდობა და ეფექტურობაც უკვე დადასტურებულია.** არსებობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების მიზნებით გამოყენების არც თუ ისე სახარბიელო მონაცემები, რაც ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ახალი მოდელების შემუშავება და გამოყენება, რომლებიც გააუმჯობესებს ბავშვების სასწავლო შედეგებს და გზას გაუხსნის მათ ხარისხიანი საგანმანათლებლო შესაძლებლობებისკენ.

➤ **არაფორმალურ განათლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლება.** მონყვლად ბავშვებს, რომლებიც ფორმალური განათლების სისტემას მოსწყდნენ ან მათ, ვისაც არასოდეს მიუწვდებოდა ხელი ფორმალურ განათლებაზე, შეიძლება, ყველაზე მეტად დაეხმაროს ონლაინ სწავლის შესაძლებლობა. პროფესიული განათლების ცენტრებში ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომა, შეიძლება, ერთადერთი შანსი იყოს ასეთი ბავშვებისთვის, ისწავლონ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

➤ **მასწავლებლების ხელშეწყობა ციფრული უნარებისა და ცოდნის განვითარებაში.** მასწავლებლებსაც სჭირდება უნარების განვითარება საიმისოდ, რომ უკეთ დაეხმარონ თავიანთ მოსწავლეებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში და გაცნობიერონ ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების მნიშვნელობა საკლასო ოთახის ფარგლებს გარეთ.

➤ **ონლაინ ბიბლიოთეკების ხელშეწყობა.** ისეთი ონლაინ ბიბლიოთეკები, როგორცაა „ბიბლიოთეკა ყველასათვის“ (Library for All), ციფრული წიგნების, სახელმძღვანელოების, ვიდეო და მუსიკალური მასალის საშუალებით სრულიად ახალ რესურსებს ჩუქნის იმ ბავშვებს, რომლებსაც მსგავსი შესაძლებლობა სხვაგვარად არ ექნებოდათ.

იმისთვის, რომ ვასწავლოთ ბავშვებს, როგორ დაიცვან საკუთარი თავი ინტერნეტ სივრცეში და პატივი სცენ სხვა მომხმარებლებს, მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელება:

➤ **ონლაინ რესურსების შექმნასა და მის გაზიარებასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება.** საჭიროა, ვასწავლოთ ბავშვებს, რომ ყველაფერი, რასაც ისინი ქსელში გააზიარებენ - სოციალური მედიის კომენტარები იქნება თუ ვიდეოები, ვეღარ ჩაითვლება პირად ინფორმაციად. ბავშვებმა უნდა იცოდნენ ასევე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ მიერვე შექმნილ მასალას, როგორცაა, მაგალითად, სექსუალური შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სექსუალური ხასიათის ფოტოები თუ ვიდეოები. ეს ყველაფერი ადვილად შეიძლება ჩაუვარდეს ხელში უცხო პირებს და გამოძალვის საფრთხის წინაშე დააყენოს ბავშვი.

➤ **საკუთარი პირადი სივრცისა და პირადი მონაცემების დაცვა.** საჭიროა, ვასწავლოთ ბავშვებს, როგორ გააკონტროლონ და დაიცვან საკუთარი პირადი მონაცემები და ინფორმაცია; დავეხმაროთ, გაიაზრონ, რომ თუ მათი მონაცემები სათანადოდ არ იქნება დაცული, შეიძლება, ვინმემ მათი იდენტობა მიითვისოს და ბოროტად გამოიყენოს მათი მონაცემები.

➤ **ონლაინ ტოლერანტობისა და თანაგრძნობის სწავლება.** საჭიროა, დავეხმაროთ ბავშვებს, გაიგონ, რომ ონლაინ კომუნიკაცია ძალიან განსხვავდება ტრადიციული კომუნიკაციისგან: ის მოკლებულია სიტყვიერ მასალას, მიმიკას, გამომეტყველებას და ადვილად შეიძლება, ანონიმურად იქცეს. სოციალურ-ემოციური სწავლება და თანაგრძნობის განვითარება დაეხმარება ბავშვებს, გამოიმუშაონ გამძლეობა, შეამცირონ ონლაინ ძალადობა და სიძულვილის ენის გამოყენება.

➤ **დადებითი ციფრული როლური მოდელები ბავშვებისთვის.** მხოლოდ ბავშვები არ არიან გატაცებული ციფრული ტექნოლოგიებით. მშობლები და ზოგადად, უფროსები, უნდა სთავაზობდნენ ბავშვებს ისეთ როლურ

მოდელებს, რომლებიც მათ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პასუხისმგებლობით გამოყენებასა და გარშემო მყოფთა პატივისცემას ასწავლის.

5. კერძო სექტორის ბერკეტების გამოყენება ეთიკური სტანდარტებისა და ისეთი პრაქტიკის დანერგვაში, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების დაცულობას და მეტ სარგებელს მათთვის ციფრულ სამყაროში.

კერძო სექტორი წამყვანი მამოძრავებელი ძალაა ციფრულ რევოლუციაში. ვინაიდან ინტერნეტ-სერვისების პროვაიდერები, ონლაინ-რესურსებისა და სხვა ციფრული საქონლის მწარმოებლები და მიმწოდებლები, ასევე სხვა სფეროების წარმომადგენელი კერძო კომპანიები სულ უფრო აქტიურად შედიან ბავშვების ცხოვრებაში, მათი ვალია იმ ინფორმაციის სადარაჯოზე დგომა, რომელიც ქსელებში ხვდება. გარდა ამისა, კერძო კომპანიებს ხელი მიუწვდებათ ბავშვების მონაცემებსა და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, ეს კი სერიოზულ ძალაუფლებას აძლევს მათ, რაც თავისთავად შეიცავს უდიდეს პასუხისმგებლობასაც.



მონაწილეები „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“-ის ვორქშოპზე მალაიზიაში. მალაიზია ერთ-ერთია იმ 26 ქვეყანას შორის, სადაც ასეთი სესიები ჩატარდა და რომლის მცხოვრები ახალგაზრდების მოსაზრებებიც შევიდა წინამდებარე ანგარიშში.

ბავშვთა დაცვასა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული, მაღალ ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული კომერციული საქმიანობის განვითარებისთვის „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ შემდეგი ქმედებებისკენ მოუწოდებს:

➤ **ქსელებისა და სერვისების საშუალებით არ უნდა ვრცელდებოდეს ბავშვებზე ძალადობის შემცველი მასალები.** ტექნოლოგიების მწარმოებლებმა და ინტერნეტ პროვაიდერებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მათი ქსელებითა და სერვისებით არ ისარგებლონ დამნაშავეებმა და არ გაავრცელონ ბავშვებთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალები. საჭიროა ბავშვების წინაშე არსებული საფრთხეების მუდმივი მონიტორინგი და სამართალდამცავ ორგანოებთან და სხვა რელევანტურ მხარეებთან თანამშრომლობა იმ მიზნით, რომ დროული და ეფექტური პასუხი გაეცეს ონლაინ დანაშაულს და უზრუნველყოფილი იყოს ბავშვების უსაფრთხოება ინტერნეტში თუ მის გარეთ.

➤ **თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.** კერძო კომპანიებს მეტის გაკეთება შეუძლიათ იმისთვის, რომ ბავშვებს, განსაკუთრებით კი შორეულ და იზოლირებულ გეოგრაფიულ არეალებში მცხოვრებ პატარებს, მიეცეს ინტერნეტით სარგებლობის საშუალება. აუცილებელია ქსელის ნეიტრალობის პრინციპის გამოყენება, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რათა მათაც თანაბრად შეეძლოთ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებზე წვდომა.

➤ **ეთიკური სტანდარტების შემუშავება კერძო კომპანიებისა და ტექნოლოგიებისთვის.** კერძო სექტორი უნდა თანამშრომლობდეს პოლიტიკის შემქმნელებთან და ბავშვთა უფლებების დამცველებთან, რათა შეიმუშავოს მინიმალური სავალდებულო ეთიკური სტანდარტები, გამოიყენოს „გეგმარების უსაფრთხოების“ პრინციპი და იზრუნოს საკუთარ პროდუქტებში უსაფრთხოებისა და პირად მონაცემთა დაცულობის უზრუნველყოფაზე.

➤ **მშობლების ხელშეწყობა ბავშვის ასაკის შესაბამისი ონლაინ გარემოს შექმნაში.** კერძო კომპანიებმა ადვილად გამოსაყენებელი ინსტრუმენტების უფრო ფართო არჩევანი უნდა შესთავაზონ მშობლებს. ეს ინსტრუმენტები, მაგალითად, პაროლის დაცვის მექანიზმი, კონტაქტების ბლოკირება, ასაკის გარკვევა და ფილტრაცია, საშუალებას მისცემს მშობლებს,

უფრო უსაფრთხო ონლაინ გარემო შეუქმნან თავიანთ შვილებს, განსაკუთრებით კი მცირეწლოვან ბავშვებს. კერძო სექტორმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ამ ინსტრუმენტების მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებაზეც.

6. ბავშვები უნდა მოექცნენ ციფრული პოლიტიკის ცენტრში.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა მესამედს შეადგენენ, ამჟამინდელი ეროვნული თუ საერთაშორისო ინტერნეტ პოლიტიკა სათანადოდ არ ითვალისწინებს ბავშვების განსაკუთრებულ საჭიროებებსა და მათ უფლებებს. კიბერუსაფრთხოების, ხელოვნური გონებისა და მანქანური სწავლის პოლიტიკა, ასევე ქსელის ნეიტრალურობა და ინტერნეტის გახსნილობის პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, ზრდასრული მომხმარებლის მოთხოვნებზეა მორგებული. ეროვნულ სტრატეგიებს, რომლებიც ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის, მათი ჯანმრთელობისა და განათლების საკითხებს ეხება, ჯერ კიდევ არ გაუთავისებია ციფრული ტექნოლოგიების ძალა დარგობრივი მიზნების მიღწევაში.

იმისთვის, რომ ბავშვთა უფლებები, საჭიროებები და კეთილდღეობა ციფრული პოლიტიკის ცენტრში მოექცეს, „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ შემდეგი ქმედებებისკენ მოუწოდებს:

➤ **მნიშვნელოვანია თავად ბავშვებისა და ახალგაზრდების მოსმენა მათთან დაკავშირებული ციფრული პოლიტიკის შემუშავებისთვის.** ბავშვებისა და ახალგაზრდების განსაკუთრებული საჭიროებები, გამოცდილება და პერსპექტივები უნდა იყოს გათვალისწინებული ციფრული პოლიტიკის შემუშავების პროცესში და ამ პოლიტიკის შემქმნელები მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებთან. ეს პოლიტიკა მონყვლადი ბავშვების საჭიროებებს უნდა პასუხობდეს და საჭიროა, თავად ბავშვებიც აცნობიერდნენ ამის მნიშვნელობას. ზოგადად, მთავრობები და სამოქალაქო საზოგადოება უნდა ახალისებდნენ ბავშვებს, აქტიურად ისარგებლონ ციფრული პლატფორმებით და გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები პოლიტიკის ავტორებს.

➤ **უთანასწორობისა და ბარიერების გარდაქმნა თანაბარ შესაძლებლობებად.**

იმისთვის, რომ ინტერნეტის ზეგავლენა თანასწორობისა და შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურებოდეს, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რამდენად სარგებლობენ ბავშვები ინტერნეტით. საჭიროა ამ მონაცემების დეტალურად გაანალიზება სოციალური და მატერიალური მდგომარეობის, გეოგრაფიული არეალის, გენდერის, ასაკისა და სხვა ფაქტორების მიხედვით, რათა ბოლომდე წარმოჩინდეს არსებული უთანასწორობები და გამოვლინდეს მიზნობრივი პროგრამებისა და მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობები. აუცილებელია ამ მონაცემების გამოყენება ციფრული პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ასევე სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიების მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ამ სფეროში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

➤ **ბავშვებთან და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული თემების ინტეგრირების აუცილებლობა ეროვნულ პოლიტიკასა და სტრატეგიებში.**

ბავშვების საჭიროებები და პრობლემები უნდა ინტეგრირდეს ყველა იმ პოლიტიკაში, რომელიც ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა თუ მომავლის სხვა ტექნოლოგიებს ეხება, როგორცაა, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტი. პოლიტიკა უნდა შემუშავდეს საერთაშორისო სტანდარტების თანახმად და ის მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვთა უფლებების დაცვას, ბავშვთა თავისუფლების შეზღუდვისა და დისკრიმინაციის აღკვეთას.

ბავშვები მაქსიმალურად გამოიყენებენ ინტერნეტის შესაძლებლობებს, თუ მათ ამის საშუალება, შესაბამისი ცოდნა და უნარები მიეცემათ. მსოფლიოში მილიონობით ბავშვი უკვე იყენებს ინტერნეტს სწავლისა თუ სოციალიზაციისთვის და პატარაობიდანვე ემზადება მომავალში სასურველი სამუშაო ადგილის მოპოვებისა და სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის.

ბავშვები გულმხურვალედ, თავდაუზოგავად იბრძვიან საკუთარი შანსის მოსაპოვებლად ცხოვრებაში, ისინი ამას იმსახურებენ და ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ, რომ თითოეულ მათგანს მიეცეს ეს შესაძლებლობა.

თითოეული ბავშვი,
ვინც არ უნდა იყოს,
სადაც არ უნდა ცხოვრობდეს,
იმსახურებს ბავშვობას,
მომავალს,
თანაბარ შესაძლებლობას.
ამისთვის არსებობს გაეროს ბავშვთა ფონდი
თითოეული ბავშვისთვის,
ყველგან და ყოველთვის,
დღისითა და ღამით.
190 ქვეყანაში და ტერიტორიაზე
უნისეფი აღწევს იმ ადამიანებამდე,
რომლებთან მისვლაც ყველაზე რთულია,
ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება,
ვინც მიტოვებულია,
ვინც ყველაზე გარიყულია.
ამიტომ ბოლომდე ვიბრძვით
და არასოდეს ვნებდებით.

unicef 
for every child